აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№33 (25.161) 30 აგვისტო, 2024 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს ზოგან მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და მთიან რაიონებში - 27-32 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 28 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 757 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს, საღამოსა და ღამის საათებში, ზოგან მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა.

თორნიკე რიჟვაძე პარაგვაის ელჩს შეხვდა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, პარაგვაის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში სეფერინო ვალდეს პერალტას შეხვდა

თორნიკე რიჟვაძემ პარაგვაის ელჩს რეგიონის ტურისტული პოტენციალი და საინვესტიციო გარემო გააცნო, ხაზი გაუსვა ელჩის აჭარაში პირველი ვიზიტის მნიშვნელობას.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველოსა და პარაგვაის მნიშვნელოვანი რეგიონული და სატრანზიტო როლი აკისრია, აქედან გამომდინარე, სასურველია თანამშრომლობის განვითარება ვაჭრობის, ბიზნესის, ტურიზმის და განათლების კუთხით.

ბათუმისა და ხელვაჩაურის ავტოპარკი „EURO 5“-ის სტანდარტის 100 მიკროავტობუსით განახლდა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

სიახლე საზოგადოებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ამცნო და აღნიშნა, რომ ყველაფერს აკეთებენ მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის. თორნიკე რიჟვაძემ ასევე ისაუბრა ქალაქში შექმნილ საცობებზე, პარკირების პრობლემაზე და განაცხადა, რომ ეტაპობრივად შეეცდებიან მინიმუმამდე დაიყვანონ ხარვეზები

- ძალიან მიხარია, რომ დღეს ხელვაჩაურის და ბათუმის ავტოპარკი ახალი 100 მიკროავტობუსით განახლდა. „EURO 5“-ის სტანდარტის ახალი ასი მიკროავტობუსის დამატება ბათუმსა და ხელვაჩაურში მცხოვრები მოსახლეობისთვის კიდევ უფრო კომფორტულსა და უსაფრთხოს გახდის გადაადგილებას.

ბათუმი ნამდვილად გახდა ევროპისა და მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე წამყვანი ტურისტული ქალაქი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სატრანსპორტო პოლიტიკა იყოს ეფექტური, შესაბამისად, ყველამ ერთად შევძე-ლით ავტოპარკის განახლების პროცესი ყოფილიყო შეუქცევადი. გარდა ამ ახალი მიკროავტობუსებისა, ბათუმის ავტოპარკს ძალიან მალე ახალი M3 კატეგორიის ავტობუსები დაემატება. მისასალმებელია, რომ ყველას ერთად შეგვიძლია ჩვენს მოქალაქეებს, ჩვენს მცხოვრებლებს, ვიზიტიორებს, ტურისტებს გადაადგილების უსაფრთხო, თანამედროვე და კომფორტული საშუალება შევთავაზოთ. ასევე, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვმუშაობთ, რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ საცობების პრობლემა ქალაქში. მაგალითად, სტადიონის უფასო საპარკინგე სივრცე, რომელიც უკვე გამოყოფილია რამდენიმე თვეა, დაეხმარება ქალაქს, განიტვირთოს მაქსიმალურად, - განაცხადა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ.

თორნიკე რიჟვაძემ 250 მძღოლს, რომლებიც უკვე შეუდგნენ მუშაობას, წარმატებები უსურვა.

ბათუმის მერიის ინფორმაციით, 62 ახალი მიკროავტობუსი ეტაპობრივად ჩაანაცვლებს ხელვაჩაურის მიმართულებებს და ქალაქთან დაკავშირებულ 64 სოფელს მოემსახურება. 38 ერთეული მიკროავტობუსით კი, დამატებით შეიქმნება ქალაქის 5 ახალი, საცდელი მარშრუტი, რომელიც ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, შემოერთებულ ტერიტორიებზე იმოძრავებს.

მათივე ცნობით, მიკროავტობუსების შეძენისათვის 12 528 100 ლარი დაიხარჯა.

„მუნიციპალური ავტოპარკის განახლება სატრანსპორტო პოლიტიკის განვითარების ნაწილია, რაც გულისხმობს მოქალაქის უსაფრთხოდ და კომფორტულად მგზავრობას. 2018 წლიდან დღემდე ბათუმის ავტოპარკი 149 ერთეული თანამედროვე სტანდარტის ავტობუსით განახლდა, მათ შორის, 8 ელექტროავტობუსია. წელსვე იგეგმება 25 ერთეული M3 კატეგორიის 12-მეტრიანი „E EURO 5“-ის სტანდარტის ავტობუსის შემოყვანა. ავტობუსების მეშვეობით, დამატებით შეიქმნება ახალი მარშრუტი ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში. დარჩენილი რაოდენობა დაემატება მგზავრთა მაღალი ნაკადის ინტენსივობით დამახასიათებელ მარშრუტებს, ინტერვალების შესამცირებლად“, - ნათქვამია ბათუმის მერიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

«...ისევ ქართველ რიელტორებს ანიჭებენ უპირატესობას»

5

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ბათუმი შავი ზღვის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლებს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

10-15 სექტემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერითა და საქველმოქმედო ფონდ „ლირას“ ორგანიზებით, ბათუმში შავი ზღვის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი გაიმართება

ზღვისპირა ქალაქში 5 დღის განმავლობაში მსოფლიოში ცნობილ მუსიკოსებთან ერთად, ახალგაზრდა ტალანტები წარსდგებიან.

წელს პირველად, ფონდმა „ლირამ“ ფესტივალის ფარგლებში გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა პიანისტებისთვის პრემიები დააწესა, ხოლო ნორჩ მევიოლინეებს კი მასტერკლასებს შესთავაზებს.

ფესტივალის მიზანი ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენა და კულტურული ინტეგრაციის ხელშეწყობაა.

ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების ფესტივალი ერთადერთი კულტურული ღონისძიებაა საქართველოში, რომელსაც მინიჭებული აქვს UNESCO-ს მაღალი პატრონაჟი და მიმდინარეობს საქართველოს სახელმწიფოს მხარდაჭერით.

ნამდვილი ბუნებრივი საოცრება...

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის სარეკლამო სტატიებს ავიაკომპანიების WizzAir -ისა და Air Baltic-ის საბორტო ჟურნალებში მილიონობით მგზავრი გაეცნობა

„ბათუმი - ევროპის ყველა ტურისტული სეზონის მიმართულება“ ამ სათაურით სტატია „Wizz“-ის ივნისის, ივლისისა და აგვისტოს გამოცემებშია განთავსებული. - ინფორმაციას ამის შესახებ აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი აქვეყნებს. სტატიაში წარმოჩენილია აჭარის მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტები, მთისა და ზღვის ტურისტული ღირსშესანიშნაობები, არქიტექტურა და კულტურა. „ბათუმი ნამდვილი ბუნებრივი საოცრებაა, სადაც შავი ზღვის სუბტროპიკული კლიმატი მაღალი მთების დიდებულ სილამაზეს ხვდება. ზღვისპირა კურორტებისა და მთიანი გარემოს კომბინაცია ბათუმს საინტერესო ადგილად აქცევს ბუნებისა და თავგადასავლების მოყვარულთათვის,“ - წერია სტატიაში.

კომპანია „WizzAir“-ი ფრენებს მსოფლიოს 51 ქვეყნის 190-ზე მეტ ქალაქში ახორციელებს. მის საბორტო ჟურნალს ყოველთვიურად 10 მილიონზე მეტი მგზავრი ეცნობა. რაც შეეხება Air Baltic-ს, ავიაკომპანია 70-ზე მეტ მარშრუტს ახორციელებს ბალტიისპირეთის ქვეყნების დედაქალაქებიდან ევროპის, სკანდინავიისა და ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით. „ქვეყნის უნიკალური ანბანი, კულტურა, ტრადიციები, ქართული ცეკვები და მრავალხმიანი სიმღერა გამოგზაურებთ ისტორიასა და ტრადიციებში, რომელიც 2000 წელზე მეტს მოიცავს. მიუხედავად იმისა, გაინტერესებთ ისტორია, არქიტექტურა, ბუნება თუ, უბრალოდ, დასვენება სანაპიროზე, ბათუმს აქვს რაღაც, რაც შეუძლია შესთავაზოს ყველა ტიპის მოგზაურს. მისი დინამიკური ეკონომიკური ზრდის, ბიზნესისთვის ხელსაყრელი კანონმდებლობისა და ლიბერალური საგადასახადო სისტემის გამო, ბათუმი ასევე გამოირჩევა, როგორც პოპულარული საინვესტიციო და ბიზნესის განვითარების მიმართულება“, - წერია სტატიაში.



აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი რეგიონის პოპულარიზაციას საბორტო ჟურნალებში ნოემბრის ბოლომდე გააგრძელებს.

დაგეგმილია მაღალხარჯიანი რეანიმაციული შემთხვევების დაფინანსების გაზრდა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ინფორმაცია ამ სიახლის შესახებ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა მიხეილ სარჯველაძემ სექტორის წარმომადგენლებთან გაახმოვანა

მინისტრის ცნობით, პროგრამის საპილოტე ეტაპზე, უპირატესობა ფილტვების შეშუპებისა და სუნთქვის უკმარისობის მართვას მიენიჭება.

შეხვედრაზე, ასევე, განიხილეს ინიციატივა, რომლის მიხედვითაც, რეანიმაციაში ხანგრძლივი დაყოვნების მაღალხარჯიანი შემთხვევები, DRG-თან ერთად, გამონაკლისის სახით, საწოლდღის მიხედვით დაფინანსდება. იქვე აღინიშნა, რომ სამედიცინო დაწესებულებებში, რეანიმაციის შემდგომ, პაციენტის გახანგრძლივებული მოვლისთვის, სპეციალური განყოფილების შექმნაც იგეგმება.

მიხეილ სარჯველაძის განცხადებით, დაგეგმილი სიახლეების მიზანი DRG დაფინანსების მოდელის სრულყოფაა, რაც დადებითად იმოქმედებს პაციენტების ინტერესებისა და უფლებების დაცვაზე, ასევე, კლინიკების ეფექტურად საქმიანობაზე.

შეხვედრაზე DRG-ს ქვეყანაში იმპლემენტაცია წარმატებულ რეფორმად შეაფასა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა სილვიუ დომენტემ. მისი განცხადებით, ამით მოქალაქეების ფინანსური დაცულობა და ჯანდაცვისა თუ ჰოსპიტალურ სექტორზე ხელმისაწვდომობა გაიზარდა, თუმცა, მნიშვნელოვანია DRG სისტემის მუდმივი მონიტორინგი და განახლება.

ქუთაისში გამართულ შეხვედრას აჭარისა და აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკების ჯანდაცვის მინისტრები ნინო ნიჟარაძე და ლევან ჩაკვეტაძე, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები ვლადიმერ კახაძე და ზაალ მიქელაძე, სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ქრონიკა

26 ოქტომბერს საქართველოს საპარლამენტო არჩევნებთან ერთად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩატარდება. რამდენიმე დღის წინ, „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ დელეგატები აჭარიდან საქართველოს პარლამენტში უკვე წარადგინა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიფუვაძემ კი „ქართული ოცნების“ ბათუმის, ქობულეთისა და ხელვაჩაურის შტაბის წევრებთან შეხვედრები გამართა და მათ აჭარის უმაღლესი საბჭოს დელეგატები წარუდგინა. ბათუმის დელეგატია ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე, ქობულეთის - მოქმედი მაჟორიტარი, ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე უმაღლეს საბჭოში ცოტნე ანანიძე, ხელვაჩაურის - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მინდია დიასამიძე, ქედაში - ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე მამუკა თურმანიძე, შუახევში - მოქმედი მაჟორიტარი და აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე უმაღლეს საბჭოში ფრიდონ ფუტკარაძე, ხულოში - მოქმედი მერი ვახტანგ ბერიძე იქნებიან.

* * *

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიფუვაძემ, ხულოს მუნიციპალიტეტის მერ ვახტანგ ბერიძესთან ერთად, ხულოს მუნიციპალიტეტის მერიაში სამუშაო შეხვედრა გამართა და თანამშრომლებს ხულოს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე ჯამბულატ მელაძე წარუდგინა. იგი ამ დრომდე ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და სტიქიით დაზარალებულთა აღრიცხვა-შესწავლის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე მუშაობდა. პროფესიით იურისტ ჯამბულატ მელაძეს საჯარო სამსახურში მუშაობის 14-წლიანი გამოცდილება აქვს.

* * *

„ოპოზიციური პარტიები დაფინანსებას სრულად ან ნაწილობრივ არ ასაჯაროებენ“ - განაცხადა ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელმა რაუდენ კუპრაშვილმა. მისივე ინფორმაციით, განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ პოლიტიკური პარტიები, კერძოდ კი: „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“, „კი ევროპას - სტრატეგია აღმაშენებელი“, „ნაციონალური მოძრაობა“, „გირჩი - მეტი თავისუფლება“, „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“ „ელენე ხოშტარია - დროა“ და „ახალი ერთობა - გვარამია, მელია“ - დაფინანსებას, სრულად ან ნაწილობრივ არ ასაჯაროებენ. რაუდენ კუპრაშვილის აზრით, აღნიშნული პარტიების საარჩევნო კამპანიები და აქტივობები შესაძლოა, უცხოური დონორი ორგანიზაციებისგან ან სხვა წყაროებიდან ფინანსდებოდეს. ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის განცხადებით, აღნიშნული სქემით, უცხოური ფულით პოლიტიკური პარტიებისა და პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს საფრთხეს სამართლიანი საარჩევნო პროცესისთვის.

* * *

1000-მდე სამხედრო მოსამსახურეს ახლად აშენებულ კორპუსებში ბინები გადაეცემა, - განაცხადა მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ. მისი ინფორმაციით, მომავალი წლიდან ბიუჯეტში შესაბამისი თანხები იქნება გათვალისწინებული, რათა საცხოვრებელი ფართები კიდევ უფრო მეტ სამხედრო მოსამსახურეს გადაეცეს. „ქართულ ჯარზე ზრუნვა საქართველოს მთავრობის განსაკუთრებული პრიორიტეტია და ამ კუთხით, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი სამხედრო მოსამსახურეების დაფასებას. გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამა. მადლობა თავდაცვის სამინისტროს, თავდაცვის მინისტრს, რომ ეს პროგრამა წარმატებით მივიდა ბოლომდე. მინდა, თავდაცვის მინისტრს ვთხოვო, შემდეგი ეტაპის გეგმა მოამზადოს, რომელიც საშუალებას მოგვცემს, კიდევ უფრო მეტ სამხედრო მოსამსახურეს გადავცეთ ბინები ახლად აშენებულ კორპუსებში,“ - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

* * *

მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან, 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი მატერიალური დახმარება 1500 ლარამდე გაიზარდა. 2024 წელს აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამით ისარგებლა 100 წელს გადაცილებულმა 47-მა მოქალაქემ. წლის ბოლომდე 100 წელი კიდევ ერთ მოქალაქეს შეუსრულდება. აჭარაში ყველაზე უხუცესი შუახევის მუნიციპალიტეტის მკვიდრი 110 წლის ნაქიფე დავითაძეა.

* * *

10 ბათუმელი ახალგაზრდა: ლევან რამიშვილი, კესო გორგილაძე, მაგდა ზოსიძე, ელენე ბერიძე, გვანცა გეწაძე, ჯარჯი-ნიკოლოზ ყურავა, ანრი დუმბაძე, მაკუნა რამიშვილი, თეკლა თურმანიძე და თიკო ბერაია 6 დღის განმავლობაში, საერთაშორისო სამეცნიერო STEM ბანაკში იმყოფებოდნენ. საგანმანათ-ლებლო საზაფხულო პროგრამაში მონაწილე ახალგაზრდებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მიეღოთ საერთაშორისო გამოცდილება, ჩართულიყვნენ სხვადასხვა პრაქტიკულ აქტივობაში, რომელიც ხელს უწყობს კოსმოსური მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების მიმართ ინტერესის გაღვივებას - ასტრონავტების სიმულატორებით, ასტრონომიის გაკვეთილებით, ვირტუალური კოსმოსური ფრენებითა და VR-ში „მთვარის გასეირნების“ გამოცდილებით.

* * *

აჭარის მეფუტკრეობის ბიზნესასოციაციის ორგანიზებით, ბათუმში „შავი ზღვის თაფლის ფესტივალი 2024“ გაიმართა. მისი მიზანი აჭარის, როგორც მეფუტკრეობის დარგში წამყვანი რეგიონის წარმოჩენა, მეფუტკრე ფერმერების ხელშეწყობა და ქართული თაფლის პოპულარიზაცია იყო. წელს საკუთარი პროდუქცია როგორც რეგიონის, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებმა მეფუტკრეებმა წარმოადგინეს, ღონისძიებაში ჩაერთო თურქული კომპანია, რომელმაც სტუმრებს ახალი ტექნოლოგიები გააცნო. ფესტივალზე მისულთ, საშუალება ჰქონდათ, შეეძინათ მეფუტკრეობის პროდუქცია, რომელიც მრავალფეროვანი კუთხით იყო წარმოდგენილი. ფესტივალს ჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები ლევან დავითაძე და ირმა აფხაზავა, ასევე, აფხაზეთის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ლევან თევზაძე და აფხაზეთის ა რ სავაჭრო პალატის პრეზიდენტი გოგიტა თედორაძე დაესწრნენ.

* * *

მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ამორტიზებული ლიფტების დემონტაჟი და მათი ახალი, თანამედროვე სტანდარტის ლიფტებით ჩანაცვლება მიმდინარეობს. საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს უფროს აკაკი ბერიძის თქმით, ამ ეტაპზე სამუშაოები 4 მისამართზე სრულდება. ლიფტების განახლება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში თანადაფინანსებით (99% - მერიის პროცენტული წილი, 1% - ამხანაგობის) ხორციელდება. 2023-2024 წლებში ჯამში 79 ლიფტი მოეწყო, რაზეც 6 მილიონ 300 000 ლარი დაიხარჯა. 2025 წლის ბოლომდე სამუშაოები 113 მისამართზე იგეგმება, რისთვისაც 8 მილიონ 900 000 ლარია გათვალისწინებული.

ყოველი ნაბიჯი – ქვეყნის სასიკეთოდ

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

წინასაარჩევნო მარათონი დაიწყო, გადაჯგუფებები მიმდინარეობს პარტიებში, იქმნება სხვადასხვა ოპოზიციური პლატფორმა. ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები მრავალმხრივ მნიშვნელოვანია როგორც საშინაო, ისე საგარეო თვალსაზრისით. ამ არჩევნებზე დიდადაა დამოკიდებული საქართველოს მომავალი. თუ დასავლეთს ეჭვი შეეპარება არჩევნების ლეგიტიმურობაში, ჩვენი ქვეყანა, შესაძლოა, გარიყული აღმოჩნდეს დასავლური ბანაკიდან. უეჭველია, დასავლეთი გამადიდებელი შუშით დააკვირდება 2024 წლის არჩევნებს. შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ ქართული პოლიტიკის მთავარი აქტორები („ქართული ოცნება“, „ნაცმოძრაობა“ და მასთან აფილირებული პარტიები) მომავალ არჩევნებში სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. თუმცა ექსპერტები აცხადებენ, რომ 2024 წლის არჩევნებში აბსოლუტურ უმრავლესობას ვერც ერთი პარტია, პლატფორმა ვერ მოიპოვებს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესაძლოა, გამარჯვებულ პოლიტიკურ ძალას კომპრომისზე წასვლა მოუწიოს. ამ ვითარებაში არც ისაა გამორიცხული, რომ მომავალი ხელისუფლება კოალიციური იყოს. ქვეყანაში ჯერჯერობით ორი მთავარი ძალა („ქართული ოცნება“ და „ნაცმოძრაობის“ ეგიდით შექმნილი პლატფორმა...) ქმნის პოლიტიკურ ამინდს, სავარაუდოდ, პარლამენტში მოხვდება სხვადასხვა პარტია. თუ დავუჯერებთ სოციოლოგიურ გამოკითხვებს („ედისონ რიჩერსი“), საარჩევნო ბარიერს გადალახავს მმართველი პარტია, „ნაცმოძრაობის“ პლატფორმა, „ლელო“, „გახარიას პარტია“ და „ახალი“, „დროა და „გირჩი მეტი თავისუფლების“ ალიანსი... აქ ისმის კითხვა - რატომ არ ერთიანდება ოპოზიცია ერთ მძლავრ პლატფორმად და შესაძლებელია თუ არა, ოპოზიცია შეთანხმდეს კოალიციური მთავრობის ფორმირების პროცესში? ეს კითხვა ახლა ყველაზე ხშირად ისმის და მასზე არაერთგვაროვანი პასუხია. ერთი რამ უდავოა, საპარლამენტო არჩევნებში მმართველი პარტიის შედეგები (პირველ ადგილზე რომ გავა, ექსპერტებს ეჭვი არ ეპარებათ) დამოკიდებული იქნება ხელისუფლების პოლიტიკაზე, ანუ რამდენად ადეკვატურად უპასუხებს არსებულ გამოწვევებს, მათ შორის სოციალურ-ეკონომიკურს და ეს პასუხი საზოგადოებისთვის რამდენად მისაღები აღმოჩნდება. ამის მიხედვით, შესაძლებელია, მმართველი გუნდის რეიტინგი გაიზარდოს ან შემცირდეს. როგორც ცნობილია, ხელისუფლებაში მმართველი პარტია უკვე მე-12 წელია, რომელმაც დაარღვია ტრადიცია და მესამეჯერ შეძლო არჩევნების მოგება. ამ ხნის განმავლობაში ქვეყანაში ბევრი რამ მოხდა - მმართველი პარტიის თქმით, სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ქვეყანამ ომი აიცილა და სახელმწიფოში მშვიდობა შეინარჩუნა, მიუხედავად არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა, საქართველო თანმიმდევრულად ვითარდება, თუმცა ოპოზიცია საპირისპიროს ამტკიცებს, მათი აზრით, ქვეყანა იზოლაციაში ექცევა და მმართველი პარტია ანტიდემოკრატიულ მმართველობას ამკვიდრებს, რისი მანიშნებელია პარლამენტის მხრიდან „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღება, რამაც ოპოზიციის და დასავლეთის კრიტიკა გამოიწვია. ექსპერტები აცხადებენ, რომ ამ კანონის მიღებამდე „ქართული ოცნების“ რეიტინგი ძალიან მაღალი იყო და არჩევნებში მის უპირობო გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ ახლა, ექსპერტების აზრით, მმართველი გუნდის რეიტინგი საგრძნობლად შემცირდა. თავის მხრივ, ხელისუფლების წევრები აცხადებენ, რომ ისინი არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვებენ და დასავლეთის სანქციებსაც გაუმკლავდებიან, რასაც არ ეთანხმებიან ექსპერტები. „საქართველო სანქციებს ერთი წელიც ვერ გაუძლებს, 1991 წლიდან დოტაციაზე ვართ დამოკიდებული, აქ თუ რამეა გაკეთებული, ინფრასტრუქტურული, სოციალური, კულტურული პროექტები, თავდაცვის ძალების გაწვრთნა და სხვა რამ, ყველაფერი დასავლეთის ფულით გაკეთდა, ეს ფული რომ აღარ იქნება, რას იზამს მმართველი პარტია? ჩინეთი და რუსეთი საქართველოს თავდაცვასა და ეკონომიკის გაძლიერებაში ფულს არ ჩადებენ, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამ ორ სახელმწიფოს რომელიმე ქვეყნის განვითარებაში ფული ჩაედოს“... აცხადებს ანალიტიკისი გიორგი კობერიძე. ასეა თუ ისე, უდავოა, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ტემპერატურა მაღალია. ნუ მოგვერიდება სიმართლის თქმა - საქართველოში სიძულვილის ტალღა ტრიალებს, განსხვავებულად მოაზროვნეების მიმართ ტოლერანტულები არ ვართ, რაც ქართული პოლიტიკის დამახასიათებელი ნიშანია. ამ მხრივ, როგორც მმართველი პარტია, ისე ოპოზიცია გამოირჩევიან, - აღნიშნავენ ექსპერტები. სამწუხაროდ, ეს დაპირისპირება არჩევნების მოახლოებისას უფრო იგრძნობა. გარკვეულწილად გასაგებია ოპოზიციის და ხელისუფლების დაპირისპირება, მაგრამ გაუგებარია ოპოზიციური სპექტრის სიჯიუტე (ერთიანი ოპოზიციური პლატფორმის არშექმნა) და ურთიერთშუღლი, ამიტომ საქმე მთლად კარგად არც ოპოზიციას აქვს. ერთი წლის წინათ ოპოზიცია ცაიტნოტში იყო, პულსი არ ესინჯებოდა, მაგრამ ხელისუფლებამ მთელი ოპოზიცია თავის საწინააღმდეგოდ განაწყო. მიზეზი, როგორც აღვნიშნეთ, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონია, თუმცა ადრინდელი შეცდომები ოპოზიციამ ვერ ან არ გაითვალისწინა და არჩევნებში რამდენიმე ძალით გამოდის. თვლიან, რომ ოთხი ოპოზიციური ცენტრი საკმარისია ხელისუფლების დასამარცხებლად. არადა, ექსპერტები აცხადებენ, რომ თუ ოპოზიცია ერთ მძლავრ პლატფორმად არ გაერთიანდება, მაშინ საპარლამენტო არჩევნებში მმართველ პარტიას რეალურ კონკურენციას ვერ გაუწევს...

ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ოცდაათწლიანმა პერიოდმა თვალნათლივ დაადასტურა, რომ მხოლოდ გაერთიანებულ, ერთ მუშტად შეკრულ ძალას აქვს არჩევნებში წარმატების შანსი. ოპოზიციის ნაწილი ამბობს, რომ არჩევნებში მმართველ გუნდს რამდენიმე ცენტრი უნდა დაუპირისპირდეს, რომ ხმები არ დაიკარგოს და საბოლოო ჯამში, არჩევნებს მოიგებენ, მაგრამ აქ ისინი ცდებიან, რადგან საერთო ჯამში გამარჯვება არაფერს ნიშნავს. საქმე ის არის, რომ მთავრობას, კონსტიტუციის მიხედვით, დააკომპლექტებს პირველ ადგილზე გასული პარტია, არა აქვს მნიშვნელობა, რამდენ პროცენტს აიღებს მმართველი პარტია. ეჭვი ხომ არ ეპარება ვინმეს, რომ დაქსაქსული ოპოზიციის ფონზე პირველ ადგილზე მმართველი პარტია გავა. გარდა ამისა, არის მნიშვნელოვანი გარემოება, რასაც ოპოზიცია ან ვერ იაზრებს, ანდა, ბრმის როლს ირგებს. ამ მხრივ რას ამბობს კონსტიტუცია? ვისაც უკეთესი შედეგი აქვს არჩევნებში (ამ შემთხვევაში „ქართული ოცნება“), პრეზიდენტთან კონსულტაციის გარეშე პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას. ანუ დავუშვათ, 35 პროცენტი აიღო არჩევნებში მმართველმა გუნდმა, მას აქვს ორი კვირა მთავრობის დასამტკიცებლად ანუ უზრუნველყოს უმრავლესობა. აქ ისმის კითხვა, ვინ გადალახავს საარჩევნო ბარიერს და, ვინ გაიყიდება? მაგალითად, ადვოკატის და ყოფილი პარლამენტარის ვალერი გელბახიანის თქმით, მმართველმა ძალამ რომელიმე პარტიის (ვინც საარჩევნო ბარიერს გადალახავს) წევრს რომ გადაუხადოს, დავუშვათ, 200 მილიონი ლარი, გაიყიდება თუ არა? გელბახიანის თქმით, სავარაუდოდ კი! ამ მხრივ შეგახსენებთ მაგალითს იანუკოვიჩის მმართველობის პერიოდიდან, მაშინ ტიმოშენკოს და იანუკოვიჩის პარტიებს დაუგროვდა (400-ადგილიანი პარლამენტიდან) ნახევარ-ნახევარი. ათი პროცენტი მიიღო „სოციალისტებმა“, დაახლოებით ათი მანდატი. მაშინ გაჟღერებული ხმების თანახმად, ასი მილიონი დოლარი გადაუხადეს „სოციალისტებს“ და თან თანამდებობებიც მიიღეს. ეს პოსტსაბჭოთა სივრცეში მოხდა. თუ ხუთი მანდატი დასჭირდა (ოპოზიციის მხრიდან) მმართველ პარტიას მთავრობის დასამტკიცებლად, ის ამ მხარდაჭერას მიიღებს, ამბობს ვალერი გელბახიანი. აქედან გამომდინარე, ოპოზიციამ ამ ვითარებაში თავი არ უნდა დაიყენოს, თუ არადა, ისევ მივიღებთ ძველ მთავრობას მმართველი პარტიის ხელმძღვანელობით. არის მეორე მექანიზმი: თუ მაგალითად, პარლამენტმა ორი კვირის განმავლობაში ვერ დაამტკიცა მთავრობა, მაშინ პრეზიდენტი ითხოვს პარლამენტს და მოვალეობა ეკისრება ძველ მთავრობას მორიგ არჩევნებამდე, ოპოზიცია ამაზე რატომღაც არ საუბრობს, რაც გარკვეულ ეჭვებს ბადებს. ვფიქრობ, პოლიტიკოსების შეფასებები რეალურ სურათს გვისახავს ხელისუფლების მოქმედების შესახებ, მაგალითად, „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი ხელისუფლებასთან შეურიგებელ პოლიტიკურ ძალებს ეროვნული ფრონტის შექმნას სთავაზობს და ამბობს, რომ მისი დამსახურებაა ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის სანქციების დაწესება... „მხოლოდ ჩვენს პარტიას შეუძლია ქვეყნის ხსნა და აღორძინება“. თავის მხრივ მმართველ პარტიას აფრთხილებს ექსპერტი გია ხუხაშვილი, მისი თქმით, „ბაბილონის გოდოლი“ ინგრევა და ნანგრევებში აუცილებლად მოჰყვებიან უმრავლესობის წევრები. ცხადია, ოპონენტთა შეფასებას არ იზიარებენ არსებული ხელისუფლების წარმომადგენლები. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სწორედაც გამოირჩევიან დემოკრატიულობით, ობიექტურობით. პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ ხელისუფლებამ ყველა დაპირება შეასრულა და არჩევნებში მმართველი პარტია 60 პროცენტს მიიღებს. რაც შეეხება ოპოზიციის შენიშვნებს, ის უსაფუძვლოა, მმართველმა პარტიამ ივანიშვილის წინამძღოლობით, შეცვალა დამნაშავე რეჟიმი, რის შედეგადაც ქვეყნის აღორძინება თანმიმდევრულად მიმდინარეობს.

ცხადია, შემოდგომაზე პოლიტიკური პროცესები კიდევ უფრო დაიძაბება. იმედია, ამჯერად საარჩევნო მარათონი ცივილურ ფარგლებს არ გასცდება და პაექრობა მუშტიკრივში არ გადაიზრდება. და, რაც უმთავრესია, გამარჯვებული და დამარცხებული პარტიები ქვეყნის სასიკეთოდ იმოქმედებენ, ყოველი მათი ნაბიჯი, მთელი საქმიანობა სწორედ საქართველოს უკეთესი მომავლის სურვილით უნდა იყოს ნასაზრდოები.

„ქართული ოცნება“ არჩევნების კვალდაკვალ და ანტიკორუფციული ბიუროს მოწოდება ოპოზიციას

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

პარტია „ქართული ოცნება“ საარჩევნო კამპანიის აქტიურ რეჟიმშია. მმართველი პარტიის წარმომადგენლები თავდაპირველად ამბროლაურს ეწვივნენ და ამომრჩევლებს საარჩევნო გეგმები გააცნეს

სიტყვით გამოვიდა პარტიის საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი, მის გამოსვლას „კეთილმოსურნეებში“ ერთგვარი აჟიოტაჟიც მოჰყვა. მმართველი გუნდის საპატიო თავმჯდომარე სიტყვის წარმოთქმისას ტყვიაგაუმტარი მინის უკან იდგა და საზოგადოებას ისე მიმართა. ამან, რა გასაკვირია, რომ ოპოზიციასა და მათ მომხრეებში სალაპარაკო თემა წარმოშვა. ვინც ივანიშვილის პოლიტიკას არ იზიარებს, საუბრობს იმაზე, რომ მას საკუთარი ხალხისაც ეშინია და ამიტომ არჩია საზოგადოების წინაშე ტყვიაგაუმტარი მინის უკან დგომა. მაგრამ აქვე უნდა გავიხსენოთ მნიშვნელოვანი ამბავი - სულ ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მომზადება და მისი ლიკვიდაცია იგეგმებოდა, რაც სუს-მა დაადასტურა. გამოძიების პროცესი ამჟამადაც მიმდინარეობს და ლოგიკურია, უსაფრთხოების სამსახური სწორედ იმისთვის არსებობს, რომ პრევენციული ღონისძიება გაატაროს.

ოპოზიციამ ტყვიაგაუმტარ მინის კონსტრუქციაში რუსული ხელწერა დაინახა. ისინი ფიქრობენ, რომ ასე მხოლოდ პუტინი იქცევა, არადა, ფაქტები სხვა რამეზე მიუთითებს. თუ თვალს გადავავლებთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტების საარჩევნო მარათონს, აღმოვაჩენთ, რომ თავის დაზღვევის მიზნით ბარაკ ობამა, დონალდ ტრამპი, ჯო ბაიდენი, ჯორჯ ბუში (უმცროსი) ხშირად იყენებდნენ ტყვიაგაუმტარ მინას, მაგრამ რატომღაც ოპოზიციის კვალი მაინც რუსეთამდე მივიდა.

იხ. მე-9 გვ.

„სანდოობის, ინფორმაციის გაჟონვის თუ ხარვეზის კუთხით ამ აპარატებს პრობლემა არ გააჩნია“

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

რატომ - ელექტრონული არჩევნები? რა უპირატესობა აქვს ტექნოლოგიების გამოყენებას? რამდენად არის შესაძლებელი გაყალბება? - ამ და სხვა კითხვებზე გვპასუხობს აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ***პარმენ ჯალაღონია.***

- ოპოზიცია აცხადებს, რომ ელექტრონული არჩევნების გაყალბება შესაძლებელია. თქვენ როგორ თვლით?

- თავიდანვე უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ: მიმდინარე წლის 26 ოქტომბერს არ ტარდება ელექტრონული არჩევნები, ტარდება არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით. საარჩევნო უბანზე განლაგებული აპარატურა არ უკავშირდება არცერთ ქსელს, არცერთ ბიო-ოპერატორს. ეს არის ეგრეთ წოდებული სტაციონარული მოწყობილობა, ანუ ვერიფიკაციის აპარატი და საარჩევნო ყუთი - ხმის დამთვლელი აპარატით, რომელიც არაფერს უკავშირდება. აქედან გამომდინარე, კარგად ჩანს, რომ ეს არ არის ელექტრონული არჩევნები, რომელსაც სხვა სპეციფიკა აქვს. აქვე აღვნიშნავ კიდევ ერთ მთავარ ფაქტორს - როდესაც ეს აპარატი ხმებს დათვლის, მიღებულ მონაცემებს არ ექნება იურიდიული ძალა. იგი ითვლება წინასწარ მონაცემებად. ამის შემდეგ, საუბნო საარჩევნო კომისიები გადადიან ხელით თვლაზე და დადებენ შემაჯამებელ ოქმებს, რომელიც ითვლება ოფიციალურ დოკუმენტად. შესაბამისად, თუკი წარმოიქმნება რაიმე სახის პრობლემა ან გაჩნდება ეჭვი, გვექნება ორი მონაცემი, რომელიც კომისიის წევრებს დაეხმარება სიმართლის დადგენასა და ხარვეზის გამოსწორებაში.

- თუკი ელექტრონული მოწყობილობით დათვლილ ხმებს არ გააჩნია იურიდიული ძალა, მაშინ რა ფუნქცია ეკისრება?

- ელექტრონული მოწყობილობით დათვლილი წინასწარი მონაცემები, მნიშვნელოვანია დროის მოგების თვალსაზრისით. მოგეხსენებათ, უბნები იხურება საღამოს 8 საათზე და უკვე 20 წუთში გამოქვეყნდება ხმების დათვლის შედეგები. ეს მეთოდი საჭიროა სანდოობის და ინფორმირებულობისთვის, თუმცა, კიდევ ვიმეორებ, ამის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიები იწყებენ ხმების ხელით დათვლას და შედეგად მიღებული შემაჯამებელ ოქმებს ენიჭება იურიდიული ძალა.

- ანუ ამ არჩევნების გაყალბება შეუძლებელია?

- მსოფლიოში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას თუ გავითვალისწინებთ, შეუძლებელი არაფერია, მაგრამ როგორც უკვე ვთქვი, ეს არ არის ელექტრონული არჩევნები, ხოლო არსებული აპარატურა არ უერთდება სხვა ციფრულ მატარებლებს, ასე რომ, დაცულია ზემოქმედებისგან.

- დაკავშირებული იქნება თუ არა საარჩევნო უბნები ინტერნეტთან?

- პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული აპარატები - ხმის მიცემისა და ხმის დათვლის ოპტიკური სკანერები (Poll Count Optical Scanners (PCOS)) და ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატები (VIU) არ არის დაკავშირებული ინტერნეტის ქსელთან და, შესაბამისად, კიბერჩარევის საფრთხე არ არსებობს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეს ორი აპარატი ერთმანეთთან ქსელურადაც არ არის დაკავშირებული. ერთადერთი ელექტრონული აპარატი, რომელიც ჩართულია (პრივატულ) ინტერნეტქსელში, არის პლანშეტი. კავშირი სრულიად დაცულია და ამ ქსელით პლანშეტი მხოლოდ და მხოლოდ ცესკოს სერვერს უკავშირდება. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ უკვე წლებია, საარჩევნო ადმინისტრაცია საპილოტე რეჟიმში იყენებს ელექტრონულ საარჩევნო ტექნოლოგიებს და სწავლობს დანერგვის შესაძლებლობებს. ამასთან, სისტემატურად ვეცნობით ამ მიმართულებით სხვა ქვეყნების გამოცდილებას. სწორედ საარჩევნო ტექნოლოგიების პილოტირებამ და მიღებულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ: მნიშვნელოვნად მარტივდება კენჭისყრის დღის პროცედურები; ადამიანური შეცდომები დაყვანილია მინიმუმამდე; ამომრჩევლისთვის ხმის მიცემის პროცესი უფრო კომფორტულია; მცირდება ხმის მიცემის და საარჩევნო უბანზე ამომრჩევლის დაყოვნების დრო; აპარატი უზრუნველყოფს ხმების ზუსტ დათვლას; ბიულეტენი უნიკალური და დაცულია.

- რაც შეეხება ვერიფიკაციის აპარატს, რა დატვირთვა აქვს მას?

- ვერიფიკაციის აპარატი უზრუნველყოფს საარჩევნო სიაში ამომრჩევლის სწრაფ იდენტიფიცირებას. ხმის მთვლელი აპარატები საშუალებას იძლევა, ოპერატიულად დამუშავდეს მონაცემები, შესაბამისად, უზრუნველყოფილია საზოგადოების დროული ინფორმირება.

- რა პროცედურებს გადის ამომრჩეველი უბანზე ელექტრონულ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად?

- კენჭისყრის ოთახში შესვლისას გადის მარკირების შემოწმების პროცედურას. თუ ამომრჩეველი არ იქნება მარკირებული, მას არ მიეცემა არჩევნებში მონაწილეობის უფლება. კენჭისყრის ოთახში ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი ამომრჩეველს შეუშვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მას წარუდგენს საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონულ მოწმობას (ID-ბარათს), საქართველოს მოქალაქის პირადობის მოქმედ არაელექტრონულ (ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის არმქონე) მოწმობას ან საქართველოს მოქალაქის პასპორტს. ამომრჩეველისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი არ უნდა იმყოფებოდეს.

- როგორი იქნება უშუალოდ კენჭისყრის პროცედურა იმ საარჩევნო უბანზე, სადაც განთავსებული იქნება ელექტრონული ტექნოლოგიები?

- რეგისტრატორი ამომრჩევლის მონაცემებს ელექტრონული ვერიფიკაციის აპარატით გადაამოწმებს, ვერიფიკაციის შემდეგ აპარატიდან ამოიბეჭდება სპეციალური ქვითარი, რომელზე ხელის მოწერითაც ამომრჩეველი ადასტურებს არჩევნებში მონაწილეობას. ქვითარი რჩება რეგისტრატორთან. მარკირების პროცედურის გავლის შემდეგ კი, ამომრჩეველს გადაეცემა საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური ჩარჩო-კონვერტი. ამომრჩეველი ფარული კენჭისყრის კაბინაში აკეთებს არჩევანს - ბიულეტენზე აფერადებს სასურველი კანდიდატის წინ არსებულ წრეს, რის შემდეგაც ბიულეტენს ათავსებს სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში არჩევანის ფარულობის უზრუნველსაყოფად. სპეციალური ჩარჩო-კონვერტის გამოყენებით ბიულეტენს ათავსებს ხმის მთვლელ აპარატში.

- გაფერადება? საარჩევნო ბიულეტენის კუთხითაც სიახლეა?

- დიახ, ეს არის მორიგი სიახლე, რომელიც ამომრჩეველს უბანზე დახვდება, ანუ ელექტრონულ უბანზე მისულმა ამომრჩეველმა კი არ უნდა შემოხაზოს სასურველი საარჩევნო სუბიექტის ნომერი, არამედ უნდა გააფერადოს სუბიექტის წინ არსებული წრე. სიახლეა ბიულეტენზე დატანილი სპეციალური შტრიხკოდი და QR-კოდი. თითოეული უბნისთვის განკუთვნილი კონკრეტული ბიულეტენის გამოყენება შეუძლებელია სხვა უბანზე, რადგანაც QR-კოდში გაწერილია უბნის, ოლქისა და კონკრეტული არჩევნების ID. შესაბამისად, QR-კოდის არსებობა უზრუნველყოფს ბიულეტენის დაცულობას და საზღვრავს, თუ რომელი უბნისთვისაა განკუთვნილი ესა თუ ის ბიულეტენი.

- თქვენ ახსენეთ „სპეციალური ჩარჩო-კონვერტი“ - რაიმე განსაკუთრებული იქნება?

- როგორც უკვე ვთქვი, ახალი სახის ბიულეტენთან ერთად, საარჩევნო უბანზე ამომრჩეველს დახვდება სპეციალური ჩარჩო-კონვერტი, რომელიც უზრუნველყოფს ხმის ფარულობის დაცვას - ამომრჩეველმა ბიულეტენი გადაუკეცავად, ამობრუნებული ფორმით უნდა მოათავსოს სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში, შემდეგ კი ხმის დათვლის აპარატში (ხმის მიცემისა და ხმის დათვლის ოპტიკურ სკანერში (Poll Count Optical Scanners (PCOS)). შესაბამისად, შეუძლებელია, უბანზე ვინმემ შეძლოს იდენტიფიცირება, თუ ვის მისცა ამომრჩეველმა ხმა. ამასთან, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატი (VIU) ამუშავებს და ინახავს ამომრჩეველთა იმ პერსონალურ მონაცემებს, რაც აუცილებელია მხოლოდ ხმის მიცემის პროცესისთვის, ხოლო ხმის მთვლელი აპარატი არ ამუშავებს და არ ინახავს ამომრჩეველთა პერსონალურ ინფორმაციას. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება ამომრჩევლის დაკავშირება მის მიერ მიცემულ ხმასთან. ელექტრონული ხმის მიცემის პროცესი, განსაკუთრებით კი დათვლის ეტაპი ზედმიწევნით არის რეგულირებული და სტრუქტურირებული ისე, რომ ამომრჩევლის არჩევანი არ იყოს იურიდიულად ან ტექნიკურად გამოვლენილი. არ არსებობს კავშირი ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატსა და ხმების დათვლის ელექტრონულ აპარატს შორის, რაც ხელს უშლის მიცემულ ხმებსა და ამომრჩევლებს შორის რაიმე კავშირის დადგენას. ამასთან, ბიულეტენი არ არის სერიული ან ჩაწერილი ისე, რომ შესაძლებელი იყოს კონკრეტული ბიულეტენის კონკრეტულ ამომრჩეველთან ასოცირება.

- რამდენი აპარატი იქნება თითოეულ უბანზე და რა მოხდება ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში?

- ყველა საარჩევნო უბანზე განთავსდება 2 აპარატი. ერთის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში კენჭისყრა გაგრძელდება მეორე ფუნქციონირებადი აპარატით, ხოლო თუ ორივე გამოვა მწყობრიდან, ყუთს მოეხსნება ზემოდან დამაგრებული აპარატი და პროცესი ძველი წესით გაგრძელდება (ამომრჩეველი ბიულეტენს ყუთის ჭრილში მოათავსებს). რადგან პირველად ტარდება ამ სახის არჩევნები საქართველოს მასშტაბით, რაღაც ინციდენტი შეიძლება მოხდეს... თუმცა, საგანგაშოს არაფერს ველოდები.

- როგორ დაითვლება ხმები?

- ხმის დათვლა ხორციელდება ელექტრონული აპარატების (ხმის მიცემისა და ხმის დათვლის ოპტიკური სკანერის (Poll Count Optical Scanners (PCOS)) გამოყენებით. ყოველ საარჩევნო უბანზე განთავსებული იქნება არანაკლებ 2 ხმის მთვლელი აპარატი. კენჭისყრის მიმდინარეობისას, თითოეული აპარატი დამოუკიდებლად თვლის მიღებული ბიულეტენების შედეგს, კენჭისყრის დასრულების შემდეგ კი აპარატებს შორის პირდაპირი კავშირით დაჯამდება მიღებული ხმები. აღსანიშნავია, რომ უბანზე არსებული ხმის მთვლელ აპარატებს შორის საბოლოო ინფორმაციის მიმოცვლა მხოლოდ და მხოლოდ პირდაპირი კავშირით, ინტერნეტის გარეშე ხორციელდება.

- აქვს თუ არა ამ არჩევნებს რაიმე ხარვეზი, რომლის გამოსწორებაც დროთა განმავლობაში შესაძლებელია?

- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამ არჩევნებამდე ჩაატარა რამდენიმე საპილოტე არჩევნები ამ აპარატების გამოყენებით. ელექტრონული მოწყობილობით დათვლილ ხმებსა და შემდგომში საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ დათვლილ ხმებს შორის სხვაობა იყო მხოლოდ ნული მთელი, სამი მეასედი პროცენტი, რაც ამ მოწყობილობების გამართულ მუშაობაზე მიგვითითებს. გარდა ამისა, არსებობს საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის მიერ დადებული დასკვნა, რომლის მიხედვითაც, სანდოობის, ინფორმაციის გაჟონვის თუ ხარვეზის კუთხით, ამ აპარატებს პრობლემა არ გააჩნია. მოდელი სავსებით აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს. აქედან გამომდინარე, წინასწარ რაიმე სახის ხარვეზზე საუბარი წარმოუდგენელია.

- თუკი გაითიშა დენი?

- უშუქობის შემთხვევაში, ამოქმედდება იუპიესი, რომელიც 4-6 საათი ამუშავებს ხმის დამთვლელ და ვერიფიკაციის აპარატებს. თუკი მთელი დღის განმავლობაში ვერ აღადგენენ ელექტროენერგიას, მაშინ ხელით დათვლიან, ანუ გათვალისწინებულია ყველა დეტალი და მოსალოდნელი საფრთხე. ხარვეზი, რომელიც არჩევნების სანდოობას ეჭვქვეშ დააყენებს, გამორიცხულია.

- თქვენთვის, როგორც პროფესიონალისთვის, რამდენად მისაღებია ამ ტიპის არჩევნები?

- საარჩევნო ადმინისტრაციისთვის სამართლებრივად მისაღებია ორივე ტიპის არჩევნები - როგორც ტრადიციული, ასევე, ახალი ტექნოლოგიებით. სანდოა ორივე, თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ ელექტრონულ მოწყობილობას აქვს უპირატესობა - ის გვაძლევს სწრაფ, გაუმჯობესებულ მომსახურებას და მოკლე დროში ხმების დათვლის შესაძლებლობას. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, ეს პროცედურები დაზღვეული რომ იყოს ყველა სახის ხარვეზისა და პრობლემისგან. დარწმუნებული ვართ, საარჩევნო ადმინისტრაციები ხარისხიან მომსახურებას გაუწევენ ამომრჩეველს. ამ კუთხით არაფერს ველოდებით განსაკუთრებულს ან არაორდინარულს, რაც ხელს შეუშლის სამართლიანი, გამჭვირვალე არჩევნების ჩატარებას.

„არაჩვეულებრივი გამოფენა“

ბათუმში, ევროპის მოედანზე USAID-სა და საქართველოს 32-წლიანი თანამშრომლობისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. მოედანზე გაშლილი იყო ქართული სუფრა, რომელსაც თამადა უძღვებოდა. ღონისძიებაში მონაწილეობდა ის სამოქალაქო ორგანიზაციები, რომლებმაც USAID-ის მხარდაჭერით აჭარის რეგიონში სხვადასხვა სფეროში წარმატებული პროექტები განახორციელეს. მათ შორის იყვნენ ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლები, ადგილობრივი მეწარმეები და ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც საკუთარ გარემოს, ქალაქს და რეგიონს უკეთესობისკენ ცვლიან. საქართველოსა და USAID-ის თანამშრომლობაზე სასაუბროდ „არაჩვეულებრივი გამოფენა“ საქართველოს სხვა კუთხეებსაც ესტუმრება.

„ეს არის არაჩვეულებრივი თანამშრომლობის, პროექტების, არაჩვეულებრივი ხალხის არაჩვეულებრივი გამოფენა, ანუ პასუხი იმაზე, რა გააკეთეს ქართველებმა ამერიკელ ხალხთან თანამშრომლობით. თანამედროვეობისა და ტრადიციის შერწყმის ყველაზე კარგი მაგალითი მოლაპარაკე ციფრული ქვევრი გახდა. გამოფენის მონაწილეებს შეეძლოთ, ქართული ტრადიციული ღვინის ჭურჭელთან ესაუბრათ და საქართველოსა და USAID-ის თანამშრომლობის, ისტორიის, განხორციელებული პროექტებისა და დაგეგმილი ინიციატივების შესახებ ინფორმაცია მიეღოთ“, - ნათქვამია ღონისძიების ორგანიზატორთა მიერ გავრცელებულ რელიზში. USAID საქართველოსთან და მის მოქალაქეებთან 1992 წლიდან თანამშრომლობს. იგი, როგორც აშშ-ის მთავრობის ნაწილი, საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორად მიიჩნევს. მისი მიზანია, დაეხმაროს ქვეყანას, გახდეს უფრო უსაფრთხო, წარმატებული, დემოკრატიული და ევროპასთან მჭიდროდ ინტეგრირებული პარტნიორი.

„...ისევ ქართველ რიელტორებს ანიჭებენ უპირატესობას“

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

ყველაზე აქტიურად უძრავი ქონება ბათუმში იყიდება - აცხადებენ სპეციალისტები. კონკრეტულად რა სიტუაციაა აჭარის უძრავი ქონების ბაზარზე და რამდენად მოსალოდნელია ბინებზე ფასების კლება? - ამ და სხვა საკითხებზე უძრავი ქონების ექსპერტი ***მაყვალა დავლაძე*** *გვესაუბრება.*

- როგორც ამბობენ, ექვსი თვის განმავლობაში ბინებზე ფასების კლების ტენდენცია დაფიქსირდება.

- სამწუხაროდ, ჯერჯერობით მსგავსს ვერაფერს ვიტყვი. საუბრის დაწყებამდე მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია, რომელიც უკეთ გაგარკვევთ, როგორი სიტუაციაა უძრავი ქონების ბაზარზე. კერძოდ, საინვესტიო ბანკი გალტ & თაგარტი 2024 წლის მეორე კვარტალის მიმოხილვას აქვეყნებს, სადაც აღნიშნავს, რომ ბათუმის უძრავი ქონების ბაზარზე 3,670 ტრანზაქცია დარეგისტრირდა, რაც წლიურად 6,7%-იანი კლებაა, ანუ გაყიდვები შემცირებულია. ამავე მიმოხილვის მიხედვით, ბოლო წლებში უძრავი ქონების საშუალო ფასი კი არ იკლებს, იზრდება. მაგალითად, თუ 2022 წლის მეორე კვარტალში კვმ-ის ღირებულება 931 ამერიკული დოლარი იყო, შარშან ის 1,243 გახდა, წელს კი 1,366 დოლარი.

- რამ გამოიწვია გაყიდვების შემცირება? როგორც ამბობენ, მეორადი ბინები უფრო იყიდება.

- როგორც პირველად, ასევე მეორად ბაზრებზე გაყიდვები შემცირდა ბათუმის ყველა რაიონში, ახალი ბულვარის გარდა. აქვე მოვიშველიებ ციფრებს: ჯამურად ბათუმში 2024 წლის პირველ ნახევარში 7,041 ბინა გაიყიდა, რაც წლიურად 15,1%-იანი შემცირებაა წინა წლის პირველი ნახევრის მაღალი ბაზრის ფონზე. რაც შეეხება პირველად ბაზარს, საშუალო ფასმა განაგრძო ზრდა და კვარტალურად 2,2%-ით გაიზარდა, რამაც სავარაუდოდ, ნაწილობრივ განაპირობა კიდეც შესუსტებული მოთხოვნა. ფასები ასევე გაიზარდა მეორად ბაზარზეც, წინა თვეებში მცირედი შემცირების შემდეგ. 2024 წლის მეორე კვარტალში ბათუმში სულ 229,7 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბინა გაიყიდა, რაც წლიურად 5,1%-იანი შემცირებაა და გაყიდვების კლებას ასახავს. ასევე, ბათუმში გაიზარდა იჯარის ფასებიც, რაც სეზონურობით და ტურისტების შემოსვლით იყო გამოწვეული.

- ჩვენი გადასახედიდან, ბათუმში მშენებლობების ბუმია...

- ასეც შეიძლება ითქვას, ოღონდ მიწის მწირი რესურსების ფონზე, უძრავი ქონების დეველოპმენტის არეალი ქალაქის მიმდებარე რაიონებში, გონიო-კვარიათსა და მახინჯაურში (19 და 20 მიმდინარე პროექტი, შესაბამისად) უფრო გაფართოვდა. ამჟამად ახალი მშენებლობების არეალი აჭარის სანაპირო ზოლის გასწვრივაა და მოიცავს ისეთ ტერიტორიებს, როგორიცაა ჩაქვი, ციხისძირი, ქობულეთი და შეკვეთილი (ჯამში - 29 მიმდინარე პროექტი). ამა წლის მეორე კვარტალში ქობულეთის პირველად ბაზარზე საშუალო შეწონილი ფასი კვმ-ზე 1,221 დოლარს გაუტოლდა, რაც პრემიუმ პროექტების მიწოდების ზრდითაა გამოწვეული. ამავე პერიოდში, უძრავი ქონების ბაზრის ზომა ქობულეთში წლიურად 11,5%-ით შემცირდა და 10,2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაღალი ბაზის ეფექტითაა განპირობებული.

- ბინებზე მოთხოვნის ზრდამ ერთგვარი

პანიკაც გამოიწვია, რომ შესაძლებელია, ბინების დეფიციტი შეიქმნას.

- დიახ, მოთხოვნის ზრდას პანიკაც მოჰყვა, გაჩნდა მოლოდინი, რომ ბინებზე დეფიციტი შეიქმნებოდა, რაც გამართლდა კიდეც, ოღონდ მცირე ფართის ბინებზე, მათზე მოთხოვნა ძალიან დიდია, ხოლო მიწოდება - ნაკლები. შეიძლება ითქვას, რომ ბათუმში ერთოთახიანი ან სტუდიოს ტიპის ბინა ძალიან რთული საპოვნელია. მეორე ფაქტორი მსოფლიოს მასშტაბით არსებული ინფლაციაა. ამან ჩვენზეც იმოქმედა, ეროვნული ვალუტა გაუფასურდა და შესაბამისად, ყველაფრის ფასები გაზარდა. მესამე ფაქტორი კი რეგულაციების გამკაცრებაა. იმდენად გამკაცრებულია რეგულაციები, რომ თითზე ჩამოსათვლელია პროექტები, რომლებზეც გასულ წელს ნებართვა გაიცა. დეველოპერები და მშენებლები ძირითადად ადრე დამტკიცებულ პროექტებზე მუშაობენ. ცდილობენ, ძველი პროექტი მოიპოვონ და ააშენონ, რომელსაც ეს ახალი რეგულაციები არ ეხება.

- რა იგულისხმება „რეგულაციებში“?

- რეგულაციებში იგულისხმება სიმაღლე, k2 კოეფიციენტი, რომლის გადათვლა ახლა სხვანაირად ხდება და დეველოპერებისთვის მომგებიანი აღარაა.

- კომპანია Noble Reale Estate-ის დამფუძნებელი ვაჟა მეგაღიშვილი ამბობს, რომ საქართველოში, განსაკუთრებით - თბილისსა და დიდ ქალაქებში უძრავი ქონება ძალიანაა გაძვირებული, რისი მიზეზიც არა მხოლოდ მაღალი მოთხოვნა, სამშენებლო მასალების გაძვირებაცაა.

- რა თქმა უნდა, გაძვირების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორებია სამშენებლო მასალების სიძვირე და მოთხოვნა მათზე. კომპანიებს მშენებლობა ძალიან ძვირი უჯდებათ და სხვასთან ერთად, ამ ფაქტორმაც განაპირობა ბინებზე ფასის ზრდა.

- აგვისტოში როგორაა გაყიდვების საქმე?

- საერთოდ, აგვისტოში ბათუმში თითქმის განახევრებულია გაყიდვები, უფრო წამოწეულია დღიური გაქირავება და მოთხოვნები ტურისტული კომპანიების მომსახურებაზე, რადგან დღესდღეობით უამრავი ტურისტი სტუმრობს ბათუმს. მინდა სიამაყით აღვნიშნო, რომ ძალიან ბევრი ქვეყნის მოქალაქე ირჩევს ჩვენს ქალაქს, რაც ნამდვილად სასიხარულო და სარფიანია ამ ბიზნესში ჩართულებისთვის. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ რაღაც ეტაპზე დარეგულირდა ფასები, აღარ არის ძველებურად ასტრონომიული.

- ძირითადად, რამდენი ხნით ქირაობენ ბინებს უცხოელები?

- რადგან დღიურად გასაქირავებელი ბინები გაძვირებულია, უცხოელები ორი-სამი თვით ქირაობენ ბინებს, იხდიან ერთიან თანხას და დიდი ხნით ამჯობინებენ დასვენებას ჩვენს ქალაქში. ეს ძალიან კარგია, რადგან ამ ვარიანტში საკმაოდ სოლიდური შემოსავალი შევა ბათუმის ბიუჯეტში, ტურისტები ხომ სხვადასხვა სეგმენტშიც ხარჯავენ ფულს. ესენი ძირითადად არიან რუსები, უკრაინელები, პოლონელები, გერმანელები, არაბები, ხშირად - თურქებიც. ბევრი ადამიანი ჩამოდის მუსულმანური ქვეყნებიდან. ზღვისპირა ზოლში მდებარე „ორბის“ კორპუსები, ძირითადად, ამ ხალხზე ქირავდება.

- ისინი ქირაობენ თუ ყიდულობენ ამ ბინებს?

- სხვათა შორის, ინტენსიურად აღარ ყიდულობენ, უფრო - ქირაობენ, ხოლო ვინც იყიდა, მათი უმრავლესობა უკვე ყიდის და სხვა ქვეყნებში ყიდულობს. არ ვიცი, რატომ, შესაძლოა, ასე ცხოვრობენ სხვადასხვა ქვეყანაში და ურჩევნიათ უძრავი ქონების, დროებით მაინც, ადგილზე შეძენა შემდგომ მისი უფრო ძვირად გაყიდვის მიზნით, თანაც ახალ გარემოსაც ეცნობიან. ახლა, ძირითადად, ჩვენი ემიგრანტები ყიდულობენ ბინებს. მათ მიეცათ ამის საშუალება, რადგან ბანკები უკვე გავიდნენ ამ ბაზარზე და ორივე მხარე სარფიანად თანამშრომლობს. რომელ ემიგრანტს არ უნდა საკუთარი ბინა ზღვის პირას? ესეც ერთგვარი კაპიტალდაბანდებაა, რითაც საკუთარ მომავალს უზრუნველყოფენ.

- მიწის ნაკვეთებს თუ ყიდულობენ?

- უფრო მეტად - უკრაინელები და რუსები, ისინი, ვინც დაინტერესებული არიან სოფლის მეურნეობით ან, უბრალოდ, სუფთა ჰაერზე ურჩევნიათ ცხოვრება. ბევრი კერძო სახლი გაიყიდა სოფლებში, საკმაოდ კარგ ფასად. ადრე არაბები ყიდულობდნენ, გონიოკვარიათის ყიდვა ლამის მთლიანად სურდათ, მაგრამ ახლა აღარ არის მათგან მოთხოვნა, როგორც ზემოთ აღვნიშნე.

- ჩინელები?

- ჩინელები - ძალიან ნაკლებად. ადრე იყო ბუმი, შემოედინებოდნენ ოჯახებით, თუმცა ამ ბოლოს არ ჩანან. გაქირავება ხდება ინდოელ სტუდენტებზეც, ამასთან, ბევრია გაცვლითი სასწავლო პროგრამების მონაწილეც, სიმართლე გითხრათ, ზუსტად არ ვიცი.

- რუსების მიერ შექმნილი საკუთარი გაყიდვების კომპანიების შესახებ რას იტყვით?

- კი, შექმნეს ბევრი კომპანია, მაგრამ მათი უმეტესობა არასანდოა, რისი მსხვერპლიც, ისევ და ისევ, ჩვენი მოქალაქეები ხდებიან. რუსები ხსნიან ერთი-ორი დღით ფირმას, იღებენ ფულს და... შემდეგ ეძებე, თუკი იპოვნი. სხვათა შორის, როდესაც იმატა ამ შემთხვევებმა, ახლა ფრთხილობენ და ისევ ქართველ რიელტორებს ანიჭებენ უპირატესობას.

- ყველაზე ძვირად სად იყიდება ან ქირავდება ბინები?

- ძალიან ბევრი მაღლივი კორპუსი აშენდა გონიო-კვარიათსა და მახინჯაურში... რამდენად მისაღებია ეს ფაქტი ჩვენი ბათუმისთვის და რა ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდებით, არ ვიცი, უფრო სპეციალისტებმა იციან ეს, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: ყველაფერმა ამან შეცვალა კლიმატი ბათუმში. რაც შეეხება სიძვირეს, ზემოთ ჩამოთვლილ რაიონებში სხვადასხვა ფასია საქირავებლად, თუმცა აქვე ყიდვა უფრო იაფია და ხელმისაწვდომი ქართველებისთვის, თავისთავად, უცხოელებისთვისაც. განსაკუთრებული სიძვირეა ძველ ბათუმში. იქ მაღალი ფასებია, რაც, ალბათ, გამართლებულია კიდეც, რადგან ისტორიული უბანია მთელი თავისი ხიბლითა და განუმეორებელი არქიტექტურით.

- მაქსიმუმი და მინიმუმი - რა ღირს ძველ ბათუმში ბინის ქირაობა?

- თუ ახალი კორპუსია, 1200-2000 დოლარი ორ ან სამსაძინებლიანი ბინა. თუ ძველი სახლია - 800-1000 დოლარი, ცხადია, ნორმალური რემონტით. ყველანაირი ფასის ბინებია გასაქირავებლად ძველ ბათუმშიც, მაგრამ კარგი, გამართული ბინები ძალიან ძვირია.

- რამდენად უღირს დამქირავებელს 1500-2000 დოლარის თვიურად გადახდა?

- ასეთ ბინებში საშუალო ბიუჯეტის მქონე ოჯახი ვერ შევა, უფრო უცხოელი სპეციალისტებისთვის ქირაობენ დიდი კომპანიები. ასევე, ასეთ ბინებს ქირაობენ ეგრეთ წოდებული აიტიშნიკები. მათ დიდი ანაზღაურება აქვთ და სურთ კომფორტულ გარემოში ცხოვრება. ეს ადამიანები ხშირად იცვლიან საცხოვრებელს და არ აქვთ „ადგილზე დაბმის“ პრობლემა. თან კარგი გადამხდელებიც არიან. სხვათა შორის, ისიც მინდა ვთქვა, რომ ამ ბოლოს ამ სფეროში დასაქმებული ქართველი ახალგაზრდებიც მომრავლდნენ, რაც ძალიან სასიხარულოა.

- ადრე ამბობდნენ, უკრაინელებსა და რუსებზე ბინების მიქირავებამ, შესაძლოა, პრობლემები შექმნას შემდგომ მათი გამოსახლების კუთხითო. როგორი ვითარებაა ამ ეტაპზე?

- მახსოვს, საკმაოდ დავიძაბეთ იმ პერიოდში, თუმცა პირადად არ მქონია მსგავსი შემთხვევა ამ სამი წლის განმავლობაში, ამიტომ კონკრეტულს ვერაფერს ვიტყვი. ადრე არ იყო, ახლა უკვე მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც, თუკი მეპატრონემ სამი თვის განმავლობაში ვერ შეძლო დამქირავებლის ბინიდან გაყვანა, მაშინ ოფიციალურად გამოასახლებენ.

- რა ხარვეზები და პრობლემებია ტურისტული სეგმენტისთვის დღევანდელ რეალობაში?

- ძალიან დიდი პრობლემა გახდა დაუსრულებელი საცობები, რის გამოც ადამიანებს საათობით უწევთ სიცხეში დგომა. როდესაც უქმე დღეების ზღვაზე გატარებას გეგმავ, ეს საკმაოდ მოუხერხებელი და უსიამოვნოა. რუსეთიდან წამოსულებზე აღარაფერს ვიტყვი - რა მდგომარეობაა ლარსის გამშვებ პუნქტზე, ყველამ ვიცით. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მოწესრიგდეს ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ?! რამდენი ხანია საუბარია შემოვლით გზაზე და არ დაადგა საშველი. ამაზე საუბარი ჩემს კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ როდესაც ტურისტულ სეზონზეა საუბარი, გვინდა თუ არა, ვდგებით უზარმაზარი პრობლემის წინაშე, რაც ყველას გვაზარალებს. აქვე აღვნიშნავ, რომ ტურისტები უკმაყოფილებას გამოთქვამენ კვების ობიექტებში არსებული მომსახურებისა და ასტრონომიულად გაზრდილი, არაადეკვატური ფასების გამო. ვფიქრობ, ესეც დასარეგულირებელია. წლევანდელი ტურისტული სეზონი უკვე მიიწურა, თუმცა სექტემბერშიც ჩამოვლენ ისინი, ვისაც „ხავერდის სეზონი“ უყვარს. იმედი მაქვს, მომავალი წელი უკეთესი იქნება, მოგვარდება საცობების პრობლემა და მეტი ტურისტი გვეწვევა ჩვენს ლაჟვარდოვან რეგიონში.

შინდისის გმირების ოჯახებს ბინები გადაეცათ

შინდისის გმირების - ომარ ასლანიძისა და თეიმურაზ ბერიძის ოჯახებს, ბათუმში ბინები გადაცათ. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე შინდისის გმირების ოჯახის წევრებს შეხვდა და მთავრობის გადაწყვეტილება პირადად გაცნო, მათ ბინის გასაღებები გადასცა. როგორც თორნიკე რიყვაძემ თქვა, გმირების ოჯახებს მთავრობისგან მომავალშიც ექნება მაქსიმალური მხარდაჭერა.

- მქონდა პატივი, შევხვედროდი გმირების ოჯახის წევრებს და პირადად გამეცნო მათთვის აჭარის მთავრობის გადაწყვეტილება. მადლობა მათ გმირების აღზრდისთვის, მადლობა თავდადებისთვის, მადლობა საქართველოსთვის! - აღნიშნა თორნიკე რიყვაძემ. აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, ასევე, რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 36 ოჯახს, სარგებლობაში არსებული ფართები საკუთრებაში გადაეცემა.

კაცი – ალალი და მშრომელი, მართლმადიდებლობასთან ზიარებული

ქედის რაიონის სოფელი ჯალაბაშვილები წინა საუკუნის ბოლო წლებში 90-ზე მეტ მოსახლეს ითვლიდა. მეწყრული თუ ურბანული პროცესების გამო, სოფელი ნაწილობრივ დაცარიელდა. თუმცა არიან და იქნებიან ისეთებიც, რომლებიც ადგილის დედას გამორჩეულად ეფერებიან, საკუთარი მარჯვენით ქვეყნისთვის დოვლათს ქმნიან

მარტო ჯალაბაშვილებში კი არა მთელ აჭარაშია ცნობილი ბორის ცინცაძის კარ-მიდამოს ხილი, აქ მოყვანილი ბოსტნეულ-ბაღჩეული. 35 წლის წინ, ქლიავის ნერგი მოუტანია, რომელმაც კარგად იხარა ჯალაბაშვილების მიწაზე. გონიერი მეურნე, მის ნერგებსა და კალმებს მეზობლებს ურიგებდა. ახლა ყველა მას „ბორისის ქლიავის“ სახელით იცნობს.

კოლმეურნეობები რომ დაიშალა, ჯალაბაშვილებლები წინაპრების კუთვნილ მიწებს დაეპატრონენ. ბორისმაც ნაკვეთი გაიჩინა „საბელავის“ ტერიტორიაზე. ჯერ საფერავის ჯიშის ნერგები შემოიტანა და დარგვიდან მეხუთე წელს ბარაქიანი მოსავალიც მიიღო. შემდეგ საფერავი ცოლიკაურის ჯიშით ჩაანაცვლა, რაშიც მისი შვილების ელდარის, ევგენისა და ეგნატეს წვლილიცაა. მამა შვილებს ქვეყნის სიყვარულთან ერთად, მიწისადმი გონიერ დამოკიდებულებას ასწავლიდა.

კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ ხელმძღვანელ ზურაბ ჩხაიძესა და ბორისს შორის საქმიანი ურთიერთობები ჩამოყალიბდა. კომპანიის შეფი მის რჩევებს ითვალისწინებდა. იყო წლები, როცა აჭარის მთიანეთის სოფლებში კიტრი და პომიდორი სასურველ მოსავალს ვეღარ იძლეოდა. ბორისის მოყვანილი ვარდისფერი პომიდორი მომხმარებელს იზიდავდა - როგორც კი ბათუმის ბაზარზე გამოჩნდებოდა, უმალ რიგი დგებოდა. როცა ქედელ ფერმერებს უფასოდ ვაზის ნერგებს ურიგებდა, ურჩევდა, ბორისის გამოცდილება გაეზიარებინათ. როგორც ახალბედა მევენახეები ამბობენ, ბორისს უხაროდა, როცა მასთან დახმარებისთვის მიდიოდნენ. ისინი ვენახში მიჰყავდა, მისი მარჯვენით დარგულ და ნალოლიავებ ვაზთან კონსულტაციებს უტარებდა.

ბორისი შვილებსაც არ აკლებდა თანადგომას. მათაც გაუმართლეს - ელდარი, ევგენი და ეგნატე, სოფელსა თუ ქალაქში, მეზობლების, მეგობრების სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობენ. ელდარმა სამსახური და საცხოვრისი ბათუმში მოიწყო, ევგენი და ეგნატე მამისეულ კერიაზე დარჩნენ, ცალ-ცალკე სახლები აიშენეს. ბიჭებს ცხოვრების მეგზურებიც ღირსეული ჰყავთ. ევგენის მეუღლე მანანა ჯალაბაშვილების საჯარო სკოლის სერტიფიცირებული მასწავლებელია. ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტში მედიცინის მედდის სპეციალობას დაეუფლა ეგნატეს რჩეული ნატალია და მალე პროფესიის შესაბამისად დაიწყებს მუშაობას. წლებია პროვიზორის პოზიციაზე საქმიანობს ელდარის ცხოვრების მეგზური ნონა.

ბორისმა და გეგელიძეებელმა ეთერ დუმბაძემ, ნახევარსაუკუნოვანი თანაცხოვრების განმავლობაში, არაერთი ლამაზი დღე აღნიშნეს. შეუღლებიდან 50 წელი რომ შეუსრულდათ, ცოლ-ქმარი მოინათლა და ჯვარი დაიწერა. ეს პირველი შემთხვევაა ახლანდელი ჯალაბაშვილების სინამდვილეში. ბორისმა კარგად იცოდა, ვინ იყო მისი წინაპარი და რა განსაცდელი გამოიარა, მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე ქრისტიანული მრწამსი რომ შეენარჩუნებინა.

ბორისი 74 წელს იყო მიტანებული, წუთისოფლიდან რომ წავიდა. მისი შრომითი გზა დაფასებას იმსახურებს. მრავალთაგან იმითაც გამოირჩა, რომ საუკუნეების შემდეგ, პირველი ჯალაბაშვილებელია, რომელსაც ყველა პატივი სხალთის ეპარქიის მღვდელმსახურებმა, დეკანოზებმა იოანემ (ჩხუბაძე), ბაგრატმა (ბერიძე) და ანდრიამ (ზაქარაძე) მართლმადიდებელი მრწამსის შესაბამისად მიაგეს. მის სამუდამო სასუფეველთან შეკრებილებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს სანიმუშო მეზობელი და მართლმადიდებლობას ზიარებული თანასოფლელი.

- უფალმა ნათელი დაუმკვიდროს, - გვითხრა დეკანოზმა იოანემ. - იგი ჭეშმარიტი მართლმადიდებელი იყო და ჩინებული მაგალითია მათთვის, ვინც წინაპრების ძირძველ მრწამსთან დაბრუნებას ფიქრობს.

სამუშაოთა ტემპი მაღალია

საუკუნის პროექტი უწოდა ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის ხულო-ზარზმის 47-კილომეტრიანი მონაკვეთის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ბეშუმში გამართულ „შუამთობის“ ზეიმზე სიტყვით გამოსვლისას

ის და „საპატიო ხულოელი“, საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრი ირაკლი ქარსელაძე საზოგადოებას დაჰპირდნენ, რომ პროექტი წლის ბოლომდე დასრულდება და ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალი ხელს შეუწყობს ტვირთების გადაზიდვასა და მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებას.

ხელსაყრელი ამინდები მშენებლებს საშუალებას აძლევს სამუშაოები აქტიურად აწარმოონ. ასფალტის საფარი უკვე სოფელ დიოკნისამდე დაიგო. პარალელურ რეჟიმში მომზადდა გზის სავალი ნაწილი ზანკებიდან გოდერძის უღელტეხილის მიმართულებით ასფალტის დასაგებად.

- სამუშაოთა ტემპი მაღალია, - გვითხრა ხულოს მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე ნადიმ ვასაძემ. სპეციალისტებს თუ ვერწმუნებით, დიდი სამუშაოები რჩება შესასრულებელი საფრის ხიდსა და

იმ მონაკვეთებზე, სადაც მეწყრული პროცესები ინტენსიურად ვითარდება, მაგრამ მშენებლები გვაიმედებენ, რომ ამ სირთულეებსაც დაძლევენ.

შემოვლით გზაზე ბეტონის საფარის დაგება დაიწყო

შუახევის მუნიციპალიტეტში აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში 931 კილომეტრი საავტომობილო გზებია, რომელთა მხოლოდ რამდენიმე კილომეტრი რჩება ასფალტ-ბეტონის საფარის გარეშე

მათ შორისაა რიკიხეთი-ცინარეთის 5-კილომეტრიანი შემოვლითი გზა, სადაც ბეტონის საფარი ჯერ კიდევ შარშან უნდა დაგებულიყო. ობიექტური მიზეზების გამო, სამუშაოები გადაწიეს.

სოფლის ცენტრიდან რიკიხეთის მიმართულებით ბეტონის საფარის დაგება უკვე დაიწყო. დეპარტამენტის შუახევის განყოფილებაში გვითხრეს, რომ ბეტონის საფარი მხოლოდ 280 მეტრ გზაზე დაიგო. სამუშაოები გაისად გაგრძელდება.

„ჩანგი“ გრან პრის მფლობელია

ქედის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სახელოვნებო სკოლასთან“ ფოლკლორული ანსამბლი „ჩანგი“ სკოლის ახლანდელ დირექტორ ირინა დევაძის დამსახურებით რამდენიმე წლის წინათ ჩამოყალიბდა

მისი ხელმძღვანელობის დროს ანსამბლი უცხოეთში პირველად გავიდა. ახლახან „ჩანგი“ ბულგარეთის რესპუბლიკაში ქალაქ ნესებრში გამართულ ფესტივალ „შავი ზღვის მარგალიტში“ მონაწილეობდა და გრან პრის მფლობელი გახდა.

ფესტივალზე ხუთი ქვეყნის: საქართველოს, უკრაინის, ჩრდილოეთ მაკედონიის, ხორვატიის და სერბეთის ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები მონაწილეობდნენ.

ფოლკლორული ანსამბლი „ჩანგის“ ნესებრში გასტროლი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ დააფინანსა.

ანსამბლი „ჩანგი“ 24 წევრისგან შედგება. გუნდის ხელმძღვანელია ლოტბარი ნაზი სურმანიძე.

„ჭვანა“ – საერთაშორისო ფესტივალზე

რამდენიმე წელია, შუახევის კულტურის სახლთან ავთენტური ანსამბლი „ჭვანა“ მოქმედებს

მის ჩამოყალიბებასა და შემდგომ აღიარებაში დიდი წვლილი შეიტანა ადგილობრივმა ლოტბარმა ტარიელ ბოლქვაძემ. ანსამბლი გახდა სატელევიზიო შოუ „ნიჭიერის“ ფინალისტი, წარმატებით გამოდის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ფესტივალებზე.

„ჭვანა“ თავისი რეპერტუარითა და საშემსრულებლო ოსტატობით არაერთხელ მოექცა ქართული ეროვნული ფოლკლორის სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში. რაღა გასაკვირია, რომ ანსამბლი მაკედონიაში, ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალ „კუშანოვო 2024“-ზე გაგზავნეს.

ანსამბლის წევრებთან ერთად,, მაკედონიაში გაემგზავრა შუახევის კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილე ვახტანგ გოგრაჭაძე.

გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ

„მწამს, რომ ჩემი ყველა მიზანი ფრთებს შეისხამს“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ახალგაზრდა მწერალი ***სალომე ანანიძე*** *ქედის რაიონის სოფელ ცხმორისში დაიბადა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. 2019 წელს ლიტერატურულ კონკურსში „ახალგაზრდა ხელოვანი“ მისი დამფუძნებლის, ჟიურის წევრის, მწერალ ოთარ ჯირკვალიშვილის რჩეული გახდა. 2020 წლიდან მონაწილეობს ლიტერატურულ კონკურსში „პეგასი“, მრავალგზის ფინალისტი და სხვადასხვა ნომინაციის გამარჯვებულია. მისი ნოველები თუ ლექსები დაიბეჭდა ჟურნალებში „ჭოროხი“, „აფინაჟი“, ასევე, გაზეთ „აჭარაში“.*

- ვინ ვარ და ვინ მინდოდა ვყოფილიყავი...

- საკუთარი თავის ერთ-ერთი რიგითი მაძიებელი ვარ. ბევრს ვერაფერს ვიტყვი, სჯობს, დრომ თავად ილაპარაკოს, როგორც საუკეთესო ისტორიკოსმა. მინდა ვიყო ის, ვინც ვარ და, პირველ რიგში - ადამიანი, ყველა გაგებით.

- ბავშვობის ყველაზე მძაფრი მოგონება...

- ბავშვობიდან ყველაფერს სხვანაირად ვუყურებ და აღვიქვამ. მძაფრად მახსენდება, როგორი მტკივნეული იყო, როცა თითქოს უსუსური ფისო დასდევდა და დღენაკლულ პეპელას კლავდა. ახლა ვხვდები, ხანდახან როგორი ბოროტია ცხოვრება.

- რაც ყველაზე მნიშვნელოვანია...

- ჩემი ოჯახი, სადაც თავს ყველაზე დაცულად ვგრძნობ.

- ყველაფერი დაიწყო აღქმით, რომ...

- ჩემი ცხოვრების გზა მელნისფერი მდელოებითაა მოფერადებული.

- ცხოვრება ჰგავს...

- „მინდა, ჩემი ცხოვრება ჰგავდეს ლურჯ მდელოს, რომელსაც არ ეხეთქება ტანჯვის ტალღები, რომ წლების მერე ხელი გადავუსვა და მასზედ აღმოცენდნენ ნაზი ბგერები, რომლებსაც ჰორიზონტს გავატან გაჭაღარავებულ უფლის პაციენტებთან, ეგებ ვინმეს სასიცოცხლოდ დასჭირდეს სიტყვა „გადარჩენა!“.

- ბევრჯერ მიფიქრია...

- როგორი იქნება ჩემი პირველი წიგნის პრეზენტაცია. მინდა, ზღაპრის პატარა მონაკვეთს ჰგავდეს, სადაც ყველა საკუთარი თავის პოვნას ისწავლის ჩემი პატარ-პატარა ფრაზებით.

- ვნანობ...

- არასწორ ურთიერთობებს. მართალია, თითოეულმა რაღაც მასწავლა, მაგრამ სულიც ამომიგლიჯა.

- დამსხვრეული სტერეოტიპები...

- ჯერჯერობით განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია ამ მხრივ, მაგრამ სამყაროს ვაჩვენებ, რომ წესები არ არსებობს!

- სამყაროს აღქმის ჩემეული ემოცია...

- გაოცებით ვეღარ აღვიქვამ სამყაროს ყოველდღიურობას, ალბათ, უფრო ურუანტელის დავლისას რომ დამეწვის ყველა ძვალი, მაგ მომენტში ვგრძნობ დეტალებს.

- ნივთი, რომელსაც სულ ვატარებ...

- ავტოკალამი დამაქვს ყველგან და ყოველთვის, ბევრჯერ მქონია შემთხვევა, ხელისგულზე დამიწერია.

- სიყვარული რომ არ ყოფილიყო...

- უკუნი დაისადგურებდა მთელ სამყაროში. სიყვარულია თავად უფალი, სიყვარულია ყოველი ახალი დღე, ყოველი გამოხედვა ადამიანისა, სიყვარულია სულის სიმშვიდისა და სიცოცხლის მთავარი წყარო. ყოველთვის ვეუბნები სამყაროს, რომ ჩემი სიყვარული არასდროს დაოკდება.

- ყველაზე დიდი იმედგაცრუება...

- იმედი ხშირად მიკვდება, მაგრამ სულ ფეხზე დადგომას ვასწავლი და გაძლიერებულს უფრო მეტად ვუფრთხილდები.

- რა აზრის ხართ ლიტერატურის კრიტიკოსებზე?

- ყოველთვის კომპეტენტურ ხალხს ვეძებ მათ შორის და ვიცი, მათი მართალი სიტყვა ლიტერატურას მწვერვალებს დააპყრობინებს.

- წიგნი, რომელშიც საცხოვრებლად გადავიდოდი...

- ჩემი ცხოვრებაც წიგნია, უბრალოდ, ჯერ მწერალს არ სცალია სათაურის გასასაჯაროებლად. მალე ყველა წაიკითხავთ.

- არასდროს...

- ვიტყვი - არასდროს, რადგან ბედის ბორბალი საოცარი სისწრაფით ტრიალებს, მით უმეტეს, როცა საქმე ჩემს აწმყოს ეხება.

- ნიჭი ან უნარი, რომელსაც ვისურვებდი...

- სულ მინდოდა, ხატვა მცოდნოდა და ჩემი პერსონაჟების თვალები დამეხატა მკითხველისთვის.

- ბოლოს წავიკითხე...

- თანამედროვე მწერლების მინიმებს ვკითხულობ ეს ბოლო პერიოდია. საოცარ აზრს დებენ და ბოლომდე გითრევს.

- ერთ დღესაც გათენდება და...

- მზის ნაცვლად მთვარე ამოვა, რომელიც მეორედ მოსვლის დიდი დასაწყისი იქნება.

- სევდას მგვრის...

- როცა ვხედავ, რომ ძალიან ბევრი ბავშვი უდედოდ იზრდება... აქ ღმერთის არსებობა წამით მავიწყდება კიდეც, სამწუხაროდ.

- ჩემზე ამბობენ...

- კარგთან ერთად, ბევრ ცუდს ლაპარაკობენ. რა უშავს, ყველა იმას ხედავს, როგორიც თავადაა. მთავარია, უფალი რას ამბობს ჩემზე.

- რა ფერი აქვს სიკეთეს?

- სიკეთე იმ ადამიანის თვალების ფერია, რომელსაც ის ყველაზე მეტად სჭირდება. ყველაზე ლამაზი ფერია სამყაროში.

- ნაწარმოები, რომლის ავტორიც ვიქნებოდი...

- ძალიან ბევრი ისეთი ნაწარმოები შექმნილა, რომელსაც სიამოვნებით მიისაკუთრებ შემოქმედი, მაგრამ ჩემთვის ავტორობის ყველაზე დიდი სიმაღლე იქნება წიგნი, სადაც სამყაროს ვამხელ.

- თეთრი შურით მშურს...

- ყველა იმ ადამიანის, რომელსაც მიტევება შეუძლია მთელი გულით.

- რომელ დროში ცხოვრებას ისურვებდით?

- გალაკტიონის თაობა ვიქნებოდი დაუფიქრებლად.

- დავიწყება რომ შემეძლოს...

- არაფრის დავიწყება აღარ მინდა, მერე კარგის ფასს დავკარგავ.

- ფობია...

- სულ მინდოდა, სიმაღლის შიში მქონოდა, რომ მერე დამეძლია და ეს ემოცია გამომეცადა, მაგრამ ესეც არ მაქვს.

- თემა, პრობლემა, რომელიც ყველაზე მეტად მაღელვებს...

- ყველა დროის ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ ადამიანები ერთმანეთს არ უსმენენ და ურთიერთობები ცივდება.

- სიტყვა, რომელიც ყველაზე კარგად აღმწერს...

- მაძიებელი.

- ყველაზე დიდი სისუსტე...

- სიყვარული.

- მენატრება...

- ბავშვობის ყოველი წამი.

- ვიმოგზაურებდი...

- მსოფლიოს გარშემო.

- კითხვა, რომელზე პასუხიც მინდა ვიცოდე...

- უფლის გონება ჯაბნის თუ გული, როცა ჩვენ, ადამიანები ვცოდავთ?

- საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟი...

- ყოველთვის, როცა წიგნს ვკითხულობ, ყოველი პერსონაჟისგან ვიღებ როგორც კარგს, ასევე ცუდს, უკეთესი რომ გახდეს ჩემი სულის ბნელი კუთხე.

- წერის პროცესი ჰგავს...

- სამყაროში ყველაზე ლამაზი გრძნობაა, როცა ყოველგვარი ემოციისგან იცლები და უფლის სუფთა სულთან იწყებ გულწრფელ საუბარს.

- პროცესი თუ შედეგი?

- პროცესი ცალკე ნეტარებაა, თავადაც ახლიდან იბადები.

- მავსებს...

- როცა ახალგაზრდები ჩემს ნაწერებს კითხულობენ.

- ამოჩემებული ფრაზა...

- რაც არ უნდა მოხდეს, არ გაბოროტდე!

- ყველაზე უცნაური თვისება, რომელიც მახასიათებს...

- უცნაურ თვისებათა ყულაბა ჩემში ინახება, ხასიათების მიხედვით.

- ცრემლებს ვერ ვიკავებ, როცა...

- ბედნიერებით გაბრწყინებულ შეყვარებულ წყვილს ვხედავ და მათი თვალები ემოციების ზღვაა.

- საკუთარ თავში შევცვლიდი...

- მარტოობის გამუდმებულ მოთხოვნილებას.

- ცრურწმენები და აკვიატებები...

- ცრურწმენების დაჯერებას ჩემ გვერდით ყველას ვუკრძალავ. მელოდიის, მუსიკის აკვიატება მჩვევია და ესეც საოცრად მამშვიდებს.

- შთაგონების წყარო...

- შთაგონებად შეიძლება მექცეს ერთი პატარა დეტალიც კი, რომელსაც სეირნობისას შევამჩნევ.

- საყვარელი მწერალი...

- ვაჟა-ფშაველა.

- დღე, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა...

- როცა ოთარ ჯირკვალიშვილის რჩეული გავხდი პროექტ „ახალგაზრდა ხელოვანში“. იმ დღეს, თავისი გადაწყვეტილებით, ჩემში მელანი ჩაღვარა ამ ადამიანმა და მწერლობის სამყაროსკენ მიბიძგა.

- მწამს...

- რომ ჩემი ყველა მიზანი ფრთებს შეისხამს და მხოლოდ სიტყვებად არ დარჩება.

- ადამიანი ადამიანისთვის...

- ყველაზე დიდი საყრდენია. ადამიანი ადამიანისთვის მზეა!

- ყველაზე დიდი ჯილდო...

- ღვთისგან კურთხეული სიყვარულის უნარი.

- ყოველთვის ერთნაირად აღმაფრთოვანებს...

- კეთილი ადამიანი.

- თავისუფლება არის...

- ჩემთვის წერის პროცესი თავისუფლებაა, ფრთებშესხმული ფრაზები, რომლებსაც საზღვრებს ვერავინ დაუწესებს, თავად ჩემი არსებაც კი.

- გზავნილი - სამყაროს...

- ყოველდღე ვუგზავნი ფრაზებს სამყაროს, რომლებიც წლების შემდეგ უნდა დამხვდეს. სამყაროს თვალით უნდა დავინახო საბოლოოდ, თუ როგორ გადაშლიან პატარა თითები ჩემი ტყავიდან აღმოცენებულ სულის მელოდიას.

- ჩემზე არავინ იცის, რომ...

- არის რაღაცები, რაც არავინ უნდა იცოდეს და ასე დავტოვოთ ბოლომდე.

- მჯერა...

- რომ უფალი მარტოს არასდროს დამტოვებს.

- მომავლის კადრი...

- მე, სასკოლო ჟურნალითა და უამრავი წიგნით ხელში, ვდგავარ დერეფანში და საავტორო წიგნის ავტოგრაფს ვურიგებ ჩემს პატარა მეგობრებს.

- ახლა ყველაზე მეტად მინდა...

- სადმე შორს, მყუდრო ადგილას, სრულიად მარტო ვიჯდე, ვკითხულობდე, ვწერდე და ბუხარი გიზგიზებდეს.

- მას ვეტყვი, რომ...

- ნებისმიერს მინდა ვუთხრა, რომ ჩემამდე ნუ მოვა, თუკი უნდა წავიდეს და ფიქრებთან მარტო დამტოვოს.

- ექსპრომტად...

„სიკვდილის სუნთქვას, ჩემში რომ
ცეკვავს,
ვუძღვნი დაჟანგულ ბოლო ილეთებს.
ამ ჩემს სიკვდილში ტაძრებს ვაშენებ -
მამაო ისევ სიყვარულს თხზავდეს.
გამოადევნეთ ლოცვებს ფრაზები,
გადარჩენისთვის რომ იწერება.
გადარჩენაა, აბა, რა არის
ვიდგე სარკესთან სახეუცნობი,
სიტყვისამარა ვრჩებოდე შენთან,
შენ კი აქრობდე სულის შებერვით
ტაძარში წმინდად ანთებულ სანთელს.
ჯიუტი ვარ და ჯიუტად ვაგებ
ტაძრებს ანთებულს, სადაც მოძღვარი
სიყვარულს თხზავდა. ჯიუტი ვარ და
ჯიუტად ცეკვავს ჩემში ნარჩენნი
ბოლო სიტყვები!“.

„პოეზიაა, რაც გვაცოცხლებს, გვაძლებინებს და ძალას გვმატებს“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

გაგაცნობთ ახალგაზრდა პოეტ ***ნათია სურმანიძეს,*** *რომელიც გურიაში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურში დაიბადა. მედალზე დაამთავრა ლაითურის საჯარო სკოლა და შემდეგ გრანტით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ნათია აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა პროექტსა თუ ღონისძიებაში, მათ შორის, საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში. არის პროექტ „თსუ-დესპანის“ მონაწილე, ასევე საგანმანათლებლო ორგანიზაცია „მწიგნობარის“ წევრი. მისი ლექსები იბეჭდებოდა გაზეთ „ლიტერატურულ გურიაში“, წერდა სტატიებს, რომლებიც გაზეთ „ალიონში“ ქვეყნდებოდა.*

- ნათია, როდის დაიწყეთ წერა და რა იყო შთაგონების წყარო?

- ლექსების წერა ბავშვობაში, ადრეულ ასაკში დავიწყე, რაც განაპირობა ოჯახში პოეტურმა ატმოსფერომ. ბებიაჩემი ნათელა შაინიძე წერს ლექსებს, ასევე, ბიძაჩემი - პაატა სურმანიძე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩემი შთაგონების წყარო ბებია იყო. ვფიქრობ, რომ არა ოჯახური გარემო, ალბათ, ლექსის წერის ნიჭი თავადვე დამრჩებოდა შეუმჩნეველი. მეც, ბებოსაც და ბიძაჩემსაც წერის განსხვავებული სტილი გვაქვს. პოეზიაა ის, რაც გვაცოცხლებს, გვაძლებინებს და ძალას გვმატებს.

- პოეტებად იბადებიან თუ შემდეგ ხდებიან?

- პოეზია ყველაზე დიდი მადლია, რაც ღმერთმა ადამიანს უბოძა. რა თქმა უნდა, პოეტებად იბადებიან, თუმცა ლექსს დახვეწა უნდა, რისთვისაც გარკვეული დროა საჭირო.

- რა როლს თამაშობს პოეზია თქვენს ცხოვრებაში?

- დიდმა გალაკტიონმა თქვა: „პოეზია, უპირველეს ყოვლისა!“ ჩემი ცხოვრება პოეზიით იწყება და, ვფიქრობ, ამით ყველაფერი ნათქვამია.

- გაიხსენეთ პირველი ლექსი.

- ჩემი პირველი ლექსი, რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, ბიძაჩემის მართვის მოწმობის აღებას უკავშირდება - ერთსტროფიანი ლექსი მივუძღვენი ამ ამბავს.

- ჩანახატების ან ნოველების წერა თუ გიცდიათ?

- დიახ, მიცდია, თუმცა მათ წერას შედარებით დიდი დრო სჭირდება, ამიტომ, ჩემი გრაფიკიდან გამომდინარე, ლექსებს უფრო აქტიურად ვწერ.

- რა თვისებები უნდა ჰქონდეს კარგ პოეტს?

- უმთავრესი თვისება გულწრფელობაა - მკითხველთან გულწრფელი უნდა იყო.

იხ. მე-9 გვ.

„ამ მთას მზრუნველობას არ მოვაკლებთ“

„ჯვარიმინდობობა-2024“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ფესტივალი „ჯვარიმინდობობა“ ტრადიციულად, მარიამობის დღესასწაულზე აღინიშნება და მას შუახეველების გარდა, უამრავი ადამიანი ესწრება. ფესტივალის ღონისძიებებზე ფერეიდნელი ქართველები ნათია, ელენე ონიკაშვილები და შახრამან ონიკაძე გამოჩნდნენ

- აჭარასთან ცნობილმა მეცნიერმა ტარიელ ფუტკარაძემ დაგვაკავშირა. როგორც კი გავიგეთ, რომ 28 აგვისტოს ამ მშვენიერ მთაში „ჯვარიმინდობობის“ ფესტივალი იმართებოდა, გადავწყვიტე მეუღლესა და შვილებთან ერთად დავსწრებოდი. აქ ყველაფერი მიმზიდველად გამოიყურება. ადგილობრივი კერძებიც დავაგემოვნეთ. ჩვენ იქ, ფერეიდანშიც კი ეროვნული ადათ-წესები შევინარჩუნეთ. ჩემი აზრით, ეს ფესტივალი წარსულისთვის პატივის მიგების, ქართული იდენტობის დღესასწაულია, - გვითხრა ნათია ონიკაშვილმა.

მე-18 საუკუნეში აჭარიდან გურიაში, კერძოდ, შემოქმედის მონასტერში გადამალული ჯვრისა და სხვა სიწმინდეების ჭვანის ხეობაში გადმობრძანება დაედო საფუძვლად „ჯვარიმინდობობის“ ფესტივალს, რომლის ინიციატორი აწ განსვენებული ჭვანისხეობელი ბიზნესმენი სანდრო შარაშიძე იყო.

საზეიმო ცერემონიის დაწყებამდე, მონაწილეები ზღვის დონიდან 2200 მეტრზე კლდეში ბუნებრივად ნაკვეთ ჯვართან მივიდნენ.

- ყველა ფესტივალის მონაწილე ვარ, ასეთი ხალხმრავლობა პირველია, - გვითხრა პარლამენტარმა ანზორ ბოლქვაძემ,- შუახევის, ხულოს, ქედის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტების, აჭარის ტურიზმისა და კურორტების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელების, კულტურისა და ხელოვნების, სპორტის მესვეურთა აქტიურობა დასაფასებელია. ადამიანებს უხარიათ მთაში ამოსვლა, წარსული დიდების კიდევ ერთხელ გახსენება.

მარიამობის დღესასწაულის წინ, ხულოს მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ ჯამბულატ მელაძე წარადგინეს. იგი პირველადაა ამ მთაში. შთაბეჭდილების გაზიარებაზე უარი არ გვითხრა: „ვუცქერ ამ მთებს და თვალს ვერ ვაშორებ. ამ ტერიტორიებს მტერი არ აკლდა. როგორც უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე ბრძანებს, ერთი მუჭა მიწა რომ აიღო და ხელი მოუჭირო, სისხლი გამოედინება. საკუთარი სიცოცხლისა და დიდი ტანჯვის ფასად, წინაპრებმა ეს ტერიტორიები შეგვინარჩუნეს. მათ უკვდავსაყოფად ფესტივალებზეც უნდა მოვიდეთ და ტაძრებშიც სანთლები დავანთოთ. მადლობა იმ ადამიანებს, რომლებმაც ამ ისტორიულ ადგილზე ფესტივალი წამოიწყეს.“

ა(ა)იპ „შუახევის სპორტული ცენტრის“ დირექტორი რამინ ჯოიძე, სხვა სპეციალისტები დილიდანვე აქტიურად იყვნენ ჩართულნი სპორტულ აქტივობებში. სიმძიმის აწევაში, მკლავჭიდსა და ფრენბურთში 60-ზე მეტი მოხალისე სპორტსმენი მონაწილეობდა. ყველაზე მეტი გულშემატკივარი ფრენბურთში ასპარეზობას ჰყავდა. 6 გუნდიდან ყველას სოფელ ცხემლისის გუნდმა აჯობა.

ფესტივალის წამოწყების პირველ წლებში, ჯვარიმინდორი უკაცრიელი ადგილი იყო. ახლა აქ რამდენიმე კოტეჯი და შენობაა, რომელიც აჭარის ტურიზმისა და კურორტების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ინიციატივით აიგო. წელს პირველად მთავარი ღონისძიება კოტეჯების შემოგარენში გაიმართა. ღონისძიების წამყვანმა მარიკა დავითაძემ დამსწრეთ კიდევ ერთხელ შეახსენა ის ავბედითი პერიოდი და მის შემდგომ განვითარებული მოვლენები. შემდეგ სცენა შუახევის კულტურის ცენტრთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლ „შუახევს“ დაეთმო. მონაწილეებს საინტერესო ნომრები შესთავაზეს კულტურის ცენტრთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა „ფესვებმა“ და „ზე-კართან“. ა(ა)იპ „მწიგნობარის“ აღსაზრდელებმა ბარბარე ბექთაშვილმა და დავით ფუტკარაძემ ლექსები წაიკითხეს.

შეკრებილებს მიესალმნენ შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, პარლამენტარი ანზორ ბოლქვაძე, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატი ფრიდონ ფუტკარაძე, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, საზოგადოება „ჭვანელის“ თავმჯდომარე თემურ ზოიძე.

წელს „საპატიო ჭკვანელის“ წოდება 6 პიროვნებას მიენიჭა. ესენი არიან: ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა სფეროს, განათლების სისტემის ვეტერანი რუსუდან ფუტკარაძე, მოსამართლე ჯუმბერ ბეჟანიძე, პედაგოგი მიხეილ ტაკიძე, ბიზნესმენები რამაზ მსახურაძე, ლევან (ასლან) მჟავანაძე, წყაროთის სოფლის ავტობუსის ყოფილი მძღოლი დიმიტრი გოგრაჭაძე. მათ დიპლომები საზეიმო ვითარებაში გადასცეს.

ქობულეთის სამუზეუმო გაერთიანების დირექტორი რეზო ტაკიძე ფესტივალზე ინგლისელ და უკრაინელ სტუმრებთან ერთად მოვიდა. „მადლობა ორგანიზატორებს, ამ კუთხის შვილებს, რომ ეროვნულ ტრადიციებს ასე უფრთხილდებიან. ეს ტერიტორია მალე ტურიზმის სამოთხედ იქცევა. ქობულეთელი ტაკიძეების მოყვარე ვარ. ამ სილამაზის ხილვას ყოველწლიურად ვისურვებდი“, - გვითხრა ხარკოველმა ალექსანდრე სოროკინმა.

საღამოს სცენა ბენდებს: „ქართულსა“ და „ორიონს“ დაეთმო.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თინათინ ზოიძემ მათ და ყველა მონაწილეს მადლობა გადაუხადა ფესტივალზე საინტერესო გამოსვლისთვის.

შარშან „საპატიო ჭვანელად“ მურმან ჭაღალიძე აირჩიეს. პოეტმა გულიკო გაბაიძემ წელს მას ყაბალახი უსახსოვრა. ქალბატონმა გულიკომ საჩუქრით ფერეიდნელი ქართველებიც გაახარა.

- „ფესტივალი ჯვარიმინდორი-2024“ უკვე ისტორიის კუთვნილებაა. ქვეყნის, რეგიონის ხელმძღვანელობა ამ მთას მზრუნველობას არ მოვაკლებთ. მნიშვნელოვანი პროექტებია გათვალისწინებული არსებული ტურისტული პოტენციალის ასათვისებლად, ჭვანის ხეობის სოფლების ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, - თქვა ჯაბა ფუტკარა-

„ქართული ოცნება“ არჩევნების კვალდაკვალ და ანტიკორუფციული ბიუროს მოწოდება ოპოზიციას

მე-3 გვერდიდან

ბიძინა ივანიშვილმა ყურადღება გაამახვილა მშვიდობაზე, ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობაზე, აღნიშნა, რომ საქართველოში მიტოვებულმა დაბებმა და სოფლებმა, სწორი პოლიტიკის შედეგად, სიცოცხლე შეიძინეს. როგორც მან განაცხადა, ქვეყანა უფრო წინ რომ წავიდეს, ამისთვის საჭიროა კიდევ ერთხელ გაკეთდეს ისტორიული არჩევანი, როგორც 12 წლის წინ. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია პირველი ნაბიჯი - პოლიტიკური სისტემის გაჯანსაღება, რაც ქართული პოლიტიკიდან „ნაციონალური მოძრაობის“ ჩამოშორებას გულისხმობს. მან ისაუბრა პარლამენტში უკვე ინიცირებული კონსტიტუციური კანონპროექტის „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ მნიშვნელობასა და სარგებელზე. მმართველი გუნდის დამფუძნებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უმთავრესი ეროვნული ამოცანაა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ამისთვის მმართველი გუნდი არცერთ შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებს.

„საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება და ჩამოთვლილი საკითხების მოგვარება ჩვენს ქვეყანას გრძელვადიანი სტაბილურობისა და მშვიდობიანი განვითარების რელსებზე დააყენებს, ამიტომაც ვისთვისაც მნიშვნელოვანია მშვიდობა, კეთილდღეობა და ეროვნული ღირსების შენარჩუნება, 26 ოქტომბერს გავიდეთ არჩევნებზე და გადამწყვეტი ნაბიჯი გადავდგათ ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი მომავლისთვის“, - განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილის გზავნილები ძნელად დასაჯერებელია ოპოზიციონერი დეპუტატებისთვის.

„ევროოპტიმისტების“ წევრის რომან გოცირიძის თქმით, მმართველი გუნდი ღალატის პროგრამით მოქმედებს.

„ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო „ვოიაჟებს“, რომ დადიან სოფელ-სოფელ და განცხადებებს აკეთებენ, შეიძლება ვუწოდოთ მათი პროგრამის პრეზენტაცია, რომლის სათაური შეიძლება ჟღერდეს ასე - ღალატის პროგრამა. პირდაპირ ღალატობენ ქვეყნის ინტერესებს, კონსტიტუციას. ალბათ, საზოგადოებას ამზადებენ, რომ შეიძლება ამოღებული იყოს საქართველოს კონსტიტუციიდან ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების ვალდებულება, ან შესაძლებელია, აფხაზეთის აღიარებაც კი და რაღაც ერთობლივი სახელმწიფოს შექმნა. ძალიან გაუგებარი და აბსურდული განცხადებები კეთდება და, რაც მთავარია, ყველა გამოსვლა ხაზგასმითაა მიმართული ჩვენი დასავლელი პარტნიორების წინააღმდეგ“, - აღნიშნავს გოცირიძე.

ამასობაში, ოპოზიციური პარტიების დაფინანსების საკითხიც წამოგვეწია. ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილებით, ყველა საარჩევნო სუბიექტს 2024 წლის 31 აგვისტომდე მიმდინარე წლის 8 თვის ფინანსური მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაციის წარდგენა დაევალა.

ანტიკორუფციულ ბიუროში გამართულ ბრიფინგზე ბიუროს თავმჯდომარე რაჟდენ კუპრაშვილმა ოპოზიციური პარტიები ფინანსების გაუმჭვირვალობაში ამხილა და გამოთქვა ეჭვი, რომ ისინი დაფინანსებას კანონდარღვევით იღებენ. მან ისაუბრა საეჭვო ფინანსურ სტანდარტებზე, რომელიც, მისი თქმით, არსებობს კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიებსა თუ სხვა დონორ ორგანიზაციებში. ანტიკორუფციული ბიუროს მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ პოლიტიკური პარტიები, კერძოდ: „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“, „კი ევროპას - სტრატეგია აღმაშენებელი“, „ნაციონალური მოძრაობა“, „გირჩი - მეტი თავისუფლება“, „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“, „ელენე ხოშტარია-დროა“ და „ახალი ერთობა - გვარამია, მელია“ დაფინანსებას, სრულად ან ნაწილობრივ, არ ასაჯაროებენ.

კუპრაშვილის თქმით, მათი საარჩევნო კამპანიები და აქტივობები შესაძლოა ფინანსდებოდეს უცხოური დონორი ორგანიზაციებიდან ან სხვა წყაროებიდან, რომლებიც, თავის მხრივ, თანხებს უხდიან ამ პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს. მან აღნიშნა, რომ უცხოური ფულით პოლიტიკური პარტიებისა და პროცესების მხარდაჭერა საფრთხეა სამართლიანი არჩევნებისთვის და გამოსცა გადაწყვეტილება, რომლითაც კოალიცია „ძლიერ საქართველოში“ შემავალ მოძრაობას ფინანსური ანგარიშების წარდგენა დაავალა.

ანტიკორუფციული ბიუროს ბრალდებებს მალევე უპასუხეს ოპოზიციაში. ისინი მმართველი პარტიის გაუმჭვირვალე დაფინანსებაზე მიუთითებენ და კუპრაშვილის განცხადებას ყალბს უწოდებენ.

„კორუფციის ჭაობშია ჩაფლული „ქართული ოცნება“ და ეს მთელმა ქვეყანამ იცის. სპეცრეისებით დაფრინავენ „საშოპინგოდ“ დუბაიში, მილანში... შვილები სპეცრეისებით მიჰყავთ ამერიკაში სასწავლებლად, ნახევარმილიონიანი საათები და... რა ვიცი, რა დღეში არ არიან... და ანტიკორუფციული ბიურო რითი არის დაკავებული? გეკითხებით, ეს ანტიკორუფციული ბიუროა თუ კორუფციის შენახვის თუ „გაპრავების“ ბიურო „ქართული ოცნებისთვის?!“ - კითხულობს „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ვაშაძე.

ოპოზიციური პარტიების ქმედებები არახალია მმართველი პარტიისთვის და ისინი კვლავ „გამჭვირვალობის“ კანონის შესრულების აუცილებლობაზე საუბრობენ.

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ქადაგიშვილი აცხადებს, რომ არასამთავრობო სექტორი პოლიტიკურ პროცესებში ერევა. „სამწუხაროდ, არასამთავრობო სექტორი და დონორი ორგანიზაციები გამოყენებული არიან ქვეყნის შიგნით პოლიტიკურ პროცესებში და საარჩევნო პროცესებში ჩასარევად“, - ამბობს იგი.

წარუდგენს თუ არა ოპოზიცია დეკლარაციას ანტიკორუფციულ ბიუროს, ამას 31 აგვისტოს შევიტყობთ.

ცესკომ დროებითი წევრების შესარჩევად კონკურსი გამოაცხადა

73 საოლქო საარჩევნო კომისიაში საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრების შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა. თითოეულ ოლქში სამი ვაკანტური ადგილია. საარჩევნო ადმინისტრაციაში ბოლო წლებში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, კომისიის წევრობის მსურველების თანხმობის შემთხვევაში, მათთან გასაუბრება ღიად, ლაივ რეჟიმში განხორციელდება. ინფორმაციას ცესკო ავრცელებს.

პროცესში ჩართულ მხარეებს და დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ, გასაუბრებას უშუალოდ დააკვირდნენ ცესკოს ოფიციალური სოციალური ქსელების მეშვეობით.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის მსურველების განაცხადების მიღება დაიწყო.

„პოეზიაა, რაც გვაცოცხლებს, გვაძლებინებს და ძალას გვმატებს“

მე-7 გვერდიდან

- გარემო, რომელიც ლექსის დასაწერად გჭირდებათ?

- ლექსი ბევრგან დამიწერია, თუმცა, ლექსის წერისას ძალზე მსიამოვნებს მუსიკისა და საკუთარი გულის მოსმენა.

- თანამედროვე ქართველი პოეტებიდან ვის გამოარჩევთ?

- თანამედროვეთაგან - პოეტ პოეტიშვილს, რომელსაც წერის განსხვავებული სტილი აქვს, აგრეთვე, ქალბატონ ეკა თარაშვილს.

- როგორ ფიქრობთ, დღეს ჩვენს ქვეყანაში რამდენად აფასებენ ახალგაზრდა პოეტებს და აქვთ თუ არა მათ პერსპექტივა?

- ჩვენს ქვეყანაში მეტ-ნაკლებად ფასდება ახალგაზრდა პოეტთა შემოქმედება. ვფიქრობ, მათ აქვთ მომავლის პერსპექტივა, მთავარია, ერთგულება კალმისადმი.

- რას აკეთებთ თავისუფალ დროს?

- თავისუფალ დროს ვწერ ლექსებს, ვუსმენ მუსიკას და სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაზე დავდივარ.

- რას გრძნობთ, როდესაც კითხულობთ საკუთარ ლექსს?

- ზოგჯერ იმდენად მომწონებია საკუთარი ლექსი, გამკვირვებია, ნუთუ, ეს ლექსი ნამდვილად მე დავწერე... ამ დროს პატარა ბავშვივით მიხარია.

- საუკეთესო რჩევა, რომელიც მიგიღიათ...

- „ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი“ - ეს სიტყვები ჩემთვის ძალიან ძვირფასმა ლალი მასწავლებელმა მითხრა, როდესაც სკოლაში ვსწავლობდი. ზოგჯერ, როცა დანებებას გადავწყვეტ, საკუთარ თავს ამ სიტყვებს შემოვძახებ და უკან დასახევ ნაბიჯს წინ მივმართავ.

- მუზა თუ გყავთ?

- რა თქმა უნდა. მასზე მიძღვნილი ეს სტრიქონები ჩემი ერთ-ერთი ლექსიდანაა:

„ჩემი გულის ხარ ამოძახილი,
მანძილით შორს ხარ, გულთან კი ახლოს,
შენა ხარ, ეჰ, ამ გულის წადილი,
ყოველ წუთს და წამს სულ ჩემთან
გნატრობ“.

- პოეზია რომ არა, რომელ სფეროში იქნებოდით წარმატებული?

- ალბათ, მუსიკაში.

- გქონიათ სათქმელის დეფიციტი?

- ჩემი ლექსების დიდი ნაწილი სიყვარულის თემატიკას ეხება, ამიტომ სათქმელის დეფიციტი ჯერ არ მქონია.

- თუ მოდის ახალგაზრდა პოეტების ისეთი ღირსეული თაობა, რომელთა მხრებზეც თამამად შეიძლება გადაინაცვლოს ქართულმა პოეზიამ?

- დიახ, ბევრი ნიჭიერი პოეტი გვყავს, რომელთაც შეუძლიათ განაგრძონ წინამორბედთა გზა.

- გაქვთ ამბიცია, გასცდეთ საზღვრებს და შედგეთ სახელოვან პოეტად?

- ჩემს ქართველ ხალხს თუ ეყვარება ჩემი შემოქმედება, ყველაზე დიდი ბედნიერება ეს იქნება, თუმცა საზღვრებს თუ გასცდება ჩემი სახელი, არც ეს იქნება ურიგო.

- რითია გამორჩეული თქვენი ლექსები?

- გულწრფელობით, ზღვა ემოციით...

- რა გეგმები გაქვთ?

- ამაზე წინასწარ არ მიყვარს საუბარი, თუმცა... სასიამოვნო სიახლეების მოლოდინი მაქვს.

გახსენება

ილინ (ილია) კილაძე

40 ტკივილიანი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენს რიგებს გამოაკლდა გვარის, სანათესაოსა და სამეგობროს ღირსეული წარმომადგენელი ილინ (ილია) კილაძე.

ბედნიერებაა, ამ ქვეყნად დატოვო ისეთი სახელი, როგორიც 95 წელს მიტანებულმა ადამიანმა შეძლო.

დაიბადა ოზურგეთის რაიონის სოფელ სილაურში. 1947 წელს, მამათის საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტი გახდა. წარჩინებული კურსდამთავრებული ახალსოფლის, მახვილაურის, კახაბრის სკოლებში სპეციალობის მიხედვით მუშაობდა. 1954 წლიდან 1980 წლამდე ბათუმის (ახლანდელი ხელვაჩაურის) რაიონის განათლების განყოფილების მეთოდისტად, მეთოდური კაბინეტის გამგედ, სასკოლო ინსპექტორად იმუშავა. 7 წლის განმავლობაში ხელვაჩაურის რაიონის განათლების განყოფილების გამგე იყო და სასიკეთო კვალი დატოვა.

ყველაზე ნაყოფიერად და ხანგრძლივად (1987-2007 წწ) იმუშავა მახინჯაურის ბავშვთა სახლის დირექტორად. ქვეყნისთვის ძნელბედობის წლებში მრავალი ბავშვი ცხოვრების გზაზე დააყენა. 10 წლის განმავლობაში გაზეთ „სახალხო განათლების“ საკუთარი კორესპონდენტის მოვალეობასაც პროფესიულ დონეზე ასრულებდა. თითქმის 20 წელი ხელვაჩაურის პედაგოგიური საზოგადოების რაიონული საბჭოს ხელმძღვანელად იმუშავა, იყო რაიონის განათლების მუშაკთა პროფკავშირების თავმჯდომარე. 2007 წელს პენსიაზე გააცილეს.

მისი ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. სამთავრობო ჯილდოებთან ერთად, მიღებული ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, რამდენჯერმე არჩეული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის დეპუტატად.

კარგი ოჯახის წინამძღოლი იყო. მეუღლე ციალა ნადარეიშვილი პედაგოგად მუშაობდა. მშობლების პროფესიულ გზას შვილები ზაზა და ლალი აგრძელებენ. ზაზა საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტის ლექტორია, ლალი - პედაგოგი.

ილინ (ილია) კილაძე კილაძეების საგვარეულო კავშირის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, დაარსების დღიდან გამგეობის წევრი იყო. მისი ავტორობით გამოიცა წიგნი კილაძეების საგვარეულოზე.

სანიმუშო პიროვნებას, ქვეყნისა და ეროვნული ტრადიციების ერთგულ ადამიანს, კილაძეების საგვარეულო კავშირი ყოველთვის პატივს მიაგებს.

კილაძეების
საგვარეულო კავშირის სახელით,

ნოდარ კილაძე
კავშირის თავმჯდომარე

დირექტორი
მამუკა ბერიძე

გამომცემლობა რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3.

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 29/08/24, 17 20 სთ.

„ბათუმს აქვს პოტენციალი, რეგიონში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო კინოპლატფორმად იქცეს“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

სექტემბერი კინომოყვარულთათვის ბათუმსა და ფესტივალ „ბიაფთან“ ასოცირდება. მიუხედავად შექმნილი ფინანსური პრობლემებისა, ფესტივალი ახერხებს ალტერნატიული გზების გამოძებნას და უწყვეტობის შენარჩუნებას. გაზეთ „აჭარასთან“ „ბიაფის“ მენეჯერმა ***ზვიად ელიზიანმა*** *ისაუბრა.*

- „ბიაფი“ არსებობის არაერთ წელს ითვლის. მოკლედ მოგვიყევით მისი განვითარების ეტაპებზე და რას მიიჩნევთ კინოფესტივალის მთავარ მიღწევად?

- კინოფესტივალი „ბიაფი“, 2006 წლიდან, უკვე მეცხრამეტედ ტარდება ბათუმში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც დაიწყო აჭარაში და დღემდე (მიუხედავად პრობლემებისა) უწყვეტად ტარდება. კინოფესტივალის მნიშვნელოვან მიღწევებს შორის შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე: „ბიაფმა“ არსებობის 19 წლის განმავლობაში მოახერხა, ჩამოყალიბებულიყო წარმატებულ საერთაშორისო კინოფესტივალად, რომელსაც იცნობენ უცხოეთში (იზრდება პარტნიორების წრეც). სექტემბრის ბათუმი განუყოფლად ასოცირდება „ბიაფსა“ და კინოსთან. ფესტივალზე ამ 19 წლის განმავლობაში საპატიო სტუმრის სტატუსით იმყოფებოდა მრავალი ცნობილი უცხოელი თუ ქართველი კინემატოგრაფისტი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. კინოფესტივალის ფარგლებში ტარდებოდა ინდუსტრიული პლატფორმა „ალტერნატიული ტალღა“, რომელშიც ათობით ქართველი რეჟისორი, პროდიუსერი მონაწილეობდა ყოველწლიურად ახალი კინოპროექტით და ესწრებოდა რამდენიმედღიან პრაქტიკულ ვორქშოფებს. ეს მათ ეხმარებოდა კინოპროექტების სრულყოფასა და განვითარებაში. მნიშვნელოვან წარმატებად ვთვლით იმასაც, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში, ხელოვნურად შექმნილი ბარიერების, უსამართლოდ და ყოველგვარი ლოგიკური არგუმენტაციის გარეშე შეწყვეტილი სახელმწიფო დაფინანსების მიუხედავად, „ბიაფი“ აგრძელებს საქმიანობას და ამ ბოლო წლებშიც მაყურებელს სთავაზობს არაჩვეულებრივ კინოკვირეულს.

- მიუხედავად ფინანსური პრობლემებისა, ბათუმის საავტორო ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალი მაინც ტარდება, როგორ ახერხებთ ალტერნატიული ფინანსების მოძიებას (თუმც ფესტივალი აღარაა მასშტაბური) და რა მდგომარეობაა წელს?

- როგორც იცით, 2022 წლიდან დაიწყო ფინანსური პრობლემები, კერძოდ, სახელმწიფო ინსტიტუტებმა შეწყვიტეს „ბიაფის“ დაფინანსება, რის შემდეგაც, 2022 წელს, „ფანდრაიზინგის“ კამპანიის გზით, ფესტივალის ჩასატარებელი მინიმალური თანხა შევაგროვეთ. შარშან კინოცენტრისგან მივიღეთ მცირე დაფინანსება, ქ. ბათუმის მერიის და აჭარის კულტურის სამინისტროს მხრიდან კი სრული იგნორირება გვქონდა. სამწუხაროდ, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ძირითადი პრობლემები „ბიაფს“ უშუალოდ აჭარის რეგიონიდან ექმნება: ფესტივალის შესახებ ვრცელდება ნეგატიური ინფორმაცია, აპელირებენ, რომ „ბიაფი“ არ არის ისეთი მასშტაბური, როგორიც ადრე იყო და ასე შემდეგ, რაც აბსურდული არგუმენტია. დაფინანსების შესაწყვეტად ყოველგვარი ლოგიკური არგუმენტაციის გარეშე, კინოფესტივალი უკვე მესამე წელია, ვერ ხვდება იმ 10-15 ფესტივალს შორის, რომელსაც აფინანსებს მერია და სამინისტრო, და ეს მაშინ, როდესაც „ბიაფი“ აჭარის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კინოფესტივალია (მსგავსი არის მუსიკის სფეროში „ბლექ სი ჯაზ“ ფესტივალი), რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და ასრულებს ქალაქის ცნობადობის ამაღლებასა და პრომოუშენში. იგი სრულად პასუხობს ამ კონკურსების პირობებს, შეფასების კრიტერიუმებს და არათუ 15 დაფინანსებული ფესტივალის სიაში, არამედ სამეულში მაინც უნდა იყოს ქულების რაოდენობით, სამართლიანი შეფასების შემთხვევაში.

- კინომოყვარულებს, ვინც წლიდან წლამდე ელოდება „ბიაფს“, იქნებ დეტალურად გააცნოთ პროგრამა და ის სიახლეები, რაც ელოდებათ?

- პროგრამა, ტრადიციულად, საკმაოდ საინტერესო იქნება და ამაში, ცხადია, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენმა უცხოელმა პარტნიორებმა, საელჩოებმა და ა.შ. ვისი ფინანსური დახმარებითაც ვახერხებთ ფილმების ჩვენების ლიცენზიების მოპოვებას. წარმოდგენილი იქნება ფილმები რამდენიმე სექციაში, გაიმართება საერთაშორისო მხატვრული ფილმების, საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსები, მასტერ-კოლექცია, ქართული პანორამა, ქართული კინოკლასიკა (ფარაჯანოვი, აბულაძე, იოსელიანი) და ასე შემდეგ. სიახლეები პერიოდულად დაიდება „ბიაფის“ ვებ (www.biaff.org) და ფეისბუქ გვერდებზე.

- „ბიაფის“ როლი...

- ამ მხრივ შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, ერთ-ერთი ბათუმის კულტურული ცხოვრების გააქტიურებაა. ვფიქრობ, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია, რადგან საინტერესო კულტურული ღონისძიებები, პირველ ყოვლისა, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს. ბათუმის კინოფესტივალი ამ ეტაპზე უკვე არის ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა. ბათუმის მცხოვრებლებს საშუალება აქვთ, დიდ ეკრანზე იხილონ თანამედროვე კინოს სიახლეები, შეხვდნენ და დაესწრონ ცნობილი კინორეჟისორების მასტერკლასებს და სხვა. კინოფესტივალი უკვე იქცა ბათუმის სავიზიტო ბარათად და საინტერესო ღონისძიებად, სადაც ყველა კინომოყვარულს აქვს შესაძლებლობა, ნახოს მისთვის საინტერესო კინოფილმები. შემდეგია კინოხელოვნების პოპულარიზაცია - კინოფესტივალი დღეს ერთადერთი პლატფორმაა, სადაც შესაძლებელია დიდ ეკრანზე მაღალმხატვრული კინოს ჩვენება. ამასთან, ეს არის კინოგანათლების ხელშეწყობა - ფესტივალზე სტუმრის სტატუსით ჩამოსული კინორეჟისორების მიერ ორგანიზებულია საინტერესო მასტერკლასები სტუდენტებისთვის და კინოს სფეროთი დაინტერესებული პირებისთვის. აღსანიშნავია, ასევე, მარკეტინგული/PR შედეგი - კინოფესტივალი დადებით როლს ასრულებს ბათუმის (და ზოგადად რეგიონის) პოპულარიზაციის საქმეში. ფესტივალზე ჩამოდის მრავალი საინტერესო და ცნობილი რეჟისორი, მსახიობი, პროდიუსერი, ასევე, ფესტივალის შესახებ იწერება საერთაშორისო მედიაშიც, რაც, ცხადია, არა მარტო ფესტივალის, არამედ ქალაქის ცნობადობასაც ზრდის, გარკვეულწილად ხელს უწყობს ბათუმის და აჭარის რეგიონის, როგორც კინოგადაღების ადგილის, ასევე, ქართული კინოს პოპულარიზაციას.

- როგორ გესახებათ „ბიაფის“ მომავალი?

- „ბიაფს“ ძალიან კარგი პერსპექტივა აქვს შესაბამისი ხელშეწყობის პირობებში (რაც, დარწმუნებული ვართ, სამომავლოდ პოზიტიური მიმართულებით შეიცვლება). ჩვენი მიზანია „ბიაფის“ ცნობადობის გაზრდა და შავი ზღვის რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და მნიშვნელოვან ფესტივალად ფორმირება. იგი შეიძლება იქცეს (ქვეყნის გეოსტრატეგიული ლოკაციიდან გამომდინარე) ერთგვარ შეხვედრის პლატფორმად ევროპული და აზიური კინოს წარმომადგენლებისთვის, რაც ხელს შეუწყობს მათ და ქართველ კინემატოგრაფისტებს შორის კოოპერაციას. გრძელვადიან პერიოდში განვიხილავთ თანამშრომლობის განვითარებას სხვადასხვა კინოფესტივალთან, საერთაშორისო მედიის წარმომადგენლობის გაზრდას, ცნობილი რეჟისორების და მსახიობების მოწვევას (რაც, ცხადია, ფინანსებთანაა დაკავშირებული). ბათუმს აქვს ძალიან კარგი პოტენციალი, რეგიონში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო კინოპლატფორმად იქცეს. ამას როგორც ჩვენი უცხოელი, ისე კინოსექტორის ქართველი წარმომადგენლები აღნიშნავენ. უბრალოდ, საჭიროა ადგილობრივი მხარდაჭერა, სახელმწიფო ინსტიტუციების მხრიდან ხელშეწყობა და კინოფესტივალის მნიშვნელობის გააზრება.

როგორ დაატკბო აჩიკო ბერიძემ მსმენელი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ჩვენ თანაქალაქელ მომღერალ აჩიკო ბერიძის სოლო კონცერტი ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა. ემოციებით დატვირთული ეს არაჩვეულებრივი საღამო მუსიკისმცოდნე მაია დათუნაშვილს მიჰყავდა, რომელიც დროდადრო მომღერლის მიერ განვლილ ნაყოფიერ შემოქმედებით გზას გვახსენებდა

ეს იყო აჩიკო ბერიძის პირველი სოლო კონცერტი, რომელიც მისი სურვილით, მშობლიურ ბათუმში გაიმართა. სწორედ ამ სცენაზე მიაღწია აჩიკომ ბავშვობაში დიდ წარმატებას. საღამო გაიხსნა სიმღერით „ამაპოლა“, რომელიც აჩიკომ პირველად 12 წლის ასაკში ბრწყინვალედ შეასრულა. ამას მოჰყვა სერიოზული არია „საიდუმლო ცრემლი“ დონიცეტის ოპერიდან „სიყვარულის ნექტარი“. პირველივე წუთებიდან იგრძნო მსმენელმა, რომ სცენაზე უკვე შემდგარი მომღერალი იდგა. წამყვანმა მადლობა გადაუხადა მშობლებს, ბებიასა და ბაბუას, რომლებსაც უდიდესი წვლილი მიუძღვით მომღერლის აღზრდაში. შემდეგ სცენაზე მომღერლები ლაშა ღლონტი და სანდრო კობახიძე გამოვიდნენ, აჩიკოს სოლო კონცერტი მიულოცეს და მასთან ერთად იმღერეს.

დარბაზი გამორჩეულად მიესალმა და მოეფერა შესანიშნავ კომპოზიტორ მარიკო კვალიაშვილს, რომელიც აჩიკოს სოლო კონცერტზე თბილისიდან სპეციალურად ჩამოვიდა. მომღერალმა მისი სიმღერები შეასრულა.

როგორც მაია დათუნაშვილმა გვითხრა, ამ საღამოზე ძალიან ბევრი ადამიანი მუშაობდა. ეკრანზე ვიხილეთ აჩიკოს მამის მიერ შესრულებული შესანიშნავი ნახატები, რომლებმაც ასევე საოცარი განწყობა შექმნა. კონცერტის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს ქალთა კამერულმა ორკესტრმა, ბენდმა არაჩვეულებრივი მუსიკოსების - გია მაჭარაშვილის, დავით პასტერანოვის, ნოდარ ექვთიმიშვილის, გია სალაღიშვილის, დიტო საკანდელიძის შემადგენლობით, პროექტის და ორკესტრის მუსიკალურმა ხელმძღვანელმა, მაესტრო დავით მაზანაშვილმა.



როგორ დაიწყო აჩიკო ბერიძის მუსიკალური ნაბიჯები?

იგი თავდაპირველად გიტარის შესასწავლად პედაგოგ მარინა თავართქილაძესთან მიიყვანეს, რომელმაც, სმენასთან ერთად, აჩიკოს შესანიშნავი ხმაც აღმოაჩინა და მეორე დღესვე ამ ლამაზ ხმას მთელმა მისმა ოჯახმა მოუსმინა. იმ დღიდან შეიყვარა აჩიკომ სიმღერა და საკუთარი რეპერტუარის შექმნაც დაიწყო. იგი მაია დათუნაშვილმა ბათუმში ჩატარებულ ერთ-ერთ კონკურსზე გაიცნო, როცა ჟიურის წევრი იყო. მაშინ 8 წლის აჩიკო გრან პრით დაჯილდოვდა, ეს იყო გოგი დოლიძის სახელობის ფესტივალი, სადაც ისეთი რთული სიმღერა იმღერა, როგორიცაა „იყო, არა იყო რა“... ამის შემდეგ მის ცხოვრებაში დაიწყო სხვადასხვა ეტაპი, რომლის შესახებაც მაია დათუნაშვილი გზადაგზა გვიყვებოდა.

აჩიკო ყველა სიმღერას გულრწფელი ემოციით ასრულებს, ამას ემატება არაჩვეულებრივი ვოკალური მონაცემები. მას შეუძლია აბსოლუტურად სხვადასხვა ჟანრში განსხვავებულად იმღეროს. უნდა გავიხსენოთ ის დრო, როცა ასლან აბაშიძის მოწადინებით და ალეკო ხომერიკის ხელმძღვანელობით, ბათუმში ოპერის თეატრი შეიქმნა, რასაც ბავშვთა ოპერის შექმნაც მოჰყვა. გავიდა ბევრი წელი და აღმოჩნდა, რომ ამ ბავშვთა ოპერაში თავმოყრილი იყო ბათუმელი უნიჭიერესი ბავშვების დიდი არმია. მათ მაშინ, კლასიკური საოპერო მუსიკის შეცნობის თვალსაზრისით, ძალიან დიდი ვოკალური სკოლა გაიარეს. აჩიკოს პედაგოგი, შესანიშნავი მაესტრო მზეონა მახარაძე არაერთი მომღერლის გამზრდელია, როგორც ვოკალის პედაგოგი. სწორედ მაშინ გაიარა აჩიკომ დიდი სკოლა, რაც მას ახლა შესაძლებლობას აძლევს, მყარად იდგეს სცენაზე და გვიმღეროს სერიოზული საოპერო არიები, ასევე ქალაქური, ქართველ კომპოზიტორთა კლასიკად ქცეული სიმღერები. მომღერალმა მსმენელს თავისი რეპერტუარიდან ცნობილი და ყველასთვის საყვარელი სიმღერების ახლებური ვერსიებიც შესთავაზა. იყო რამდენიმე სიმღერის პრემიერაც.

მერე სცენაზე აჩიკო ბერიძე თავის ბათუმელ მეგობრებთან ერთად იდგა, ვისთან ერთად, წლებია, მოდის. ესენი იყვნენ ძმები გიორგი და ნიკო ბერიძეები, საუკეთესო ტენორი აჩიკო გოგიტიძე და მომღერალი თამთა ხუხუნაიშვილი. მათ საინტერესო ქართული და იტალიური რეპერტუარი შემოგვთავაზეს. მომღერალმა ანი კეკუამაც იმღერა აჩიკოსთან ერთად, მერე თბილისური ჰანგებით მოგვხიბლა, ბაიათები მედუდუკეთა ანსამბლთან ერთად შეასრულა (მედუდუკეთა ტრიო ოთარ მალაყმაძის, კოტე კირკიტაძის, გუჯა ჯიმშელეიშვილის შემადგენლობით). როგორც ყოველთვის, შესანიშნავი იყო ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის კაპელა, რომელთან ერთადაც მომღერალმა უწმინდესის საგალობელი შეასრულა (მთავარი ქორმაისტერი - ქეთევან მანელიშვილი). ნუნუ დუღაშვილის სიმღერა გარდაცვლილ მეგობრებს მიუძღვნა...

აჩიკოს ცხოვრებაში იყო ძვირფასი ადამიანი, ქართული სიმღერის სული და გული გურამ თამაზაშვილი, ანსამბლ „ალილოს“ შემქმნელი და მთელი ის სკოლა, რომელიც ამ ბიჭებმა მასთან გაიარეს, სამაგალითოა. ამ ანსამბლმა მაშინ ძალიან დიდი საქმე გააკეთა და ქართული სიმღერის თანამედროვე ისტორიაში ერთ-ერთი ლიდერია. ლაშა ღლონტი ამაყობს იმით, რომ აჩიკო „ალილოში“ მან მიიყვანა. აჩიკომ აქაც არაჩვეულებრივი სკოლა გაიარა. ანსამბლმა რევაზ ლაღიძის სიმღერა აგვისტოს ომის გმირებს მიუძღვნა.

დღეს მას შეუძლია იმღეროს როგორც საოპერო ვოკალისტმა, თუკი ის ამას მოინდომებს, შეუძლია იმღეროს ქალაქური სიმღერა ინდივიდუალურად, დუეტშიც, ანსამბლთან, გუნდთან ერთად... რაც ძალიან ბევრია 38 წლის მომღერლისთვის. ბევრ კარგ მომღერალს შეშურდება ისეთი კონცერტი, როგორიც აჩიკომ ბათუმელებსა და ქალაქის სტუმრებს შესთავაზა. იგი სულით, გულით ქართველია და ეს საღამოსაც ეტყობოდა, რომელსაც წითელ ზოლად გასდევდა ქართული სული. აჩიკო არაჩვეულებრივი მომღერალია, არ შეიძლება გულგრილად, ემოციების გარეშე უსმინო, მისი ხმა ცაში აგაფრენს, ცის კაბადონზე გამოგზაურებს და ისევ დედამიწაზე გაბრუნებს.

დავით მაზანაშვილი:

- ბათუმელთა ოვაციით მივხვდი, რომ კონცერტმა წარმატებით ჩაიარა, ამისთვის ძალიან დიდხანს ვემზადებოდით. ეს დღე საპასუხისმგებლო იყო აჩიკოსათვის, რადგან მის საყვარელ ბათუმში გამოდიოდა, საპასუხისმგებლო იყო ჩემთვის, რადგანაც ძალიან მიყვარს ეს ქალაქი და აქ ყოველთვის ამაღლებული განწყობით გამოვდივარ.

კონცერტის ბოლოს ბათუმზე შექმნილი სიმღერების პოპური შესრულდა, რომელიც ყველა მომღერალმა ერთად იმღერა.

აჩიკო ბერიძემ მადლობა გადაუხადა მაყურებელს, მონაწილეებს, ორგანიზატორებს, მათ შორის, ბათუმის მერიას, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს. საღამოს რეჟისორი გახლდათ ზაზა სიხარულიძე.